საკომო გაზეთი

№43 (501) • 27 ნოემბერი, 2018წ. • სამშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

48

სალომე ზურაბიშვილი — 64 %

საიდუმლო სოციოლოგიური კვლევის სენსაციური შედეგები

გრიგოლ ვაშაძე — 36%

სოციოლოგიურმა კვლევამ, რომელიც კერძო პირის შეკვეთით განხორციელდა, იმდენად სენსაციური შედეგები აჩვენა, შემკვეთმა, არაჯანსაღი წინასაარჩევნო აჟიოტაჟის თავიდან აცილების მიზნით, შედეგების გასაჯაროებაზე უარი განაცხადა.

ვაშაძის გაპრეზიდენტება თვითმკვლელობაა ქვეყნისთვის, სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება – გადარჩენის და სიცოცხლის გაგრძელების გარანტი

ამ კაცმა კარიერა გაიკეთა დასმენით. ახლა ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო კგბ-ს დამსმენს აირჩევს პრეზიდენტად?

დღეს ჩვენი ბედი საარჩევნო უბნებთან ჩვენ თვითონ უნდა გამოვჭედოთ

სალომე ზურაბიშვილი მეორე ტურს დიდი უპირატესობით მოიგებს

ანაცუებისა და ბანაცუების „რევოლუცია“ არ შედგება!

არა საკაშვილს! არა ვაშაძეს! არა ბოკერიას! არა „ნაცმოძრაობას“!

25 ნოემბრის აქციაზე ქართველმა ხალხმა „ნაცმოძრაობას“ განაჩენი გამოუტანა

ვაშაძის გაპრეზიდენტება თვითმკვლელობაა ქვეყნისთვის, სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება — გადარჩენის და სიცოცხლის გაგრძელების გარანტი

ვაშაძისთვის I ტურში მიცემული 600 000 ხმა საქართველოსთვის ზურგში ნასროლი 600 000 ტყვიაა, სალომე ზურაბიშვილისთვის მიცემული თითოეული ხმა საქართველოს აწმყოსა და მომავლის ასაშენებლად დადებული თითო აგური

ქართველებო, არ აჰყვეთ „ნაციონალი“ კრიმინალების ზღაპრებს და დემაგოგიას — 28 ნოემბერს გააკეთეთ სწორი, პრაგმატული და პრინციპული არჩევანი — არჩევანი საქართველოს გადასარჩენად!

მოდით, მშვიდად, ემოციების გარეშე, ცივი გონებით გავაანალიზოთ, რას გვპირდება გრიგოლ ვაშაძე!

გრიგოლ ვაშაძე (სხვათა შორის, ძალიან ღიად და დაუფარავად) გვპირდება რევოლუციას, დესტაბილიზაციას, არეულობას, სამოქალაქო დაპირისპირებას, ეკონომიკის ნგრევას, კრიმინალების ციხიდან გამოშვებას.

რატომ აპირებს ის ამის გაკეთებას?

არა იმიტომ, რომ რევოლუცია და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება მისი თვითმიზანი და იდეაფიქსია, არამედ იმის გამო, რომ ის იძულებულია, ასე მოიქცეს, რადგან მას სხვა გამოსავალი და სხვა არჩევანი არ აქვს.

რატომ არ აქვს სხვა არჩევანი?

იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გრიგოლ ვაშაძეს პრეზიდენტის სტატუსი არანაირ შანსს არ აძლევს, შეასრულოს ის დაპირებები, რასაც ის მოსახლეობას ჰპირდება.

პრეზიდენტი ვაშაძე, იმის გამო, რომ პრეზიდენტია, ვერც პენსიას მოუმატებს პენსიონერებს, ვერც საბანკო რეფორმებს განახორციელებს, ვერც 600 000 ადამიანს ჩამოაწერს ვალს, ვერც სასამართლო სისტემაში შეიტანს ცვლილებებს, ვერც ეკონომიკის განვითარების ტემპებს დააჩქარებს — მას, როგორც პრეზიდენტს, ამის უფლებამოსილება არ აქვს.

ვაშაძემ რაღაცის გაკეთება რომ მოახერხოს, მან მთლიანად უნდა შეცვალოს ხელისუფლება — დაითხოვოს მთავრობა, დაითხოვოს პარლამენტი, სადაც საპარლამენტო უმრავლესობას „ქართული ოცნება“ ფლობს, მაგრამ ვაშაძეს ამ ამოცანის განხორციელების არანაირი ბერკეტი არ აქვს.

ამიტომაც ამბობს იგი, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ სათავეში ჩაუდგება საპროტესტო გამოსვლებს — ქუჩაში გამოიყვანს 50-100 000 ადამიანს და ხელისუფლებას აიძულებს, დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, სადაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დიდი უპირატესობით უნდა გაიმარჯვოს, რომ შეძლოს საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება, რის გარეშეც „ნაცმოძრაობა“ ვერანაირ ცვლილებებს ვერ განახორციელებს.

ახლა იმაზე დავფიქრდეთ, რამდენად რეალურია დროში გაწელილი ამ ურთულესი ზეამოცანის განხორციელება?

შეგვიძლია ცალსახად, მთელი კატეგორიულობით განვაცხადოთ — ამ ზეამოცანის განხორციელების შანსი ნულის ტოლია.

გამოდის, რომ ვაშაძის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ჩვენ ვირჩევთ ნულს, ცარიელ ადგილს, ბლეფს, „ფუფლოს“, რომლის შედეგად ხელში შეგვრჩება ავლაბრის რეზიდენციაში გამოდგმული ულვაშებიანი თოჯინა, რომელსაც არაფრის შეცვლა, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, გარდა ერთისა — ხანდახან წამოიჩხავლოს და სულელური ლოზუნგები წამოისროლოს.

ასე რომ, ამომრჩეველი, რომელიც ხმას გრიგოლ ვაშაძეს აძლევს, უშვებს უდიდეს შეცდომას, ამჟღავნებს რა სრულ პოლიტიურ უმწიფრობას და სიბეცეს.

ცხადია, უკიდურესად შეურაცხმყოფელია, როცა ასე ადვილად გატყუებენ, როცა სულელად გთვლიან და იმ ავანტურაში გითრევენ, რომელიც, ელემენტარული გათვლებით, თავიდანვე დამარცხებისთვის არის განწირული.

ისღა დაგვრჩენია, გულწრფელად თანავუგრძნოთ იმ 600 000 ადამიანს, რომლებიც პოლიტიკურმა ფარისევლებმა და აფერისტებმა I ტურში ასე მწარედ მოატყუეს და ხმა იმ ავანტურისტული პროექტისთვის მიაცემინეს, რომელსაც განხორციელებას არ უწერია.

იმედია, ამ ადამიანების უმრავლესობა ახლა მაინც მოეგება გონს და თავის შეცდომას გამოასწორებს.

რაც შეეხება პრეზიდენტობის მეორე კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც მხარს „ქართული ოცნება“ უჭერს, მისი გამარჯვება „ქართულ ოცნებას“ საშუალებას მისცემს, ხელოვნური დაბრკოლებების და მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საფრთხის გარეშე, მშვიდ ვითარებაში, დროის მოკლე მონაკვეთში, შეასრულოს ყველა ის პირობა, რაც მან საქართველოს მოსახლეობას მისცა.

„ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, „ქართულ ოცნებას“ ამ პირობის შესრულებისთვის ყველა აუცილებელი ბერკეტი გააჩნია, საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოჩენა და იმ გამოუყენებელი რესურსების ამოქმედება, რომლებიც „ქართული ოცნების“ რეზერვში მრავლადაა..

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქართული ოცნება“ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ნდობა და მხარდაჭერა დაიბრუნოს.

ასე რომ, ქართველ ამომრჩეველს ძალიან მარტივი და უბრალო არჩევანის გაკეთება მოუწევს.

ეს არის არჩევანი ორ ძალას შორის, საიდანაც ერთს ცრუ დაპირებების და ცრუ ფაზიფუზის გარდა, არანაირი ბერკეტი არ გააჩნია, ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებები განახორციელოს, მეორე მხარეს კი დგას რეალური ძალა, რომელიც რეალურ ძალაუფლებას და, როგორც ვთქვით, ყველანაირ ბერკეტს ფლობს, რომ საქართველოს ბედი უკეთესობისკენ შეცვალოს და ამისთვის მას „ნაცმოძრაობასავით“ არც არეულობის მოწყობა სჭირდება, არც რევოლუცია და არც დესტაბილიზაცია.

ყველაფერი ნათელია, ყველაფერი ცხადია, ყველაფერი გარკვეულია — ახლა ცოტა მეტი გონების დაძაბვა გვჭირდება, ცოტა მეტი პრაქტიკული აზროვნება და ელემენტარული არითმეტიკა გვჭირდება, რომ საკუთარი ქვეყანა საკუთარი ხელით არ დავანგრიოთ და ამ ნანგრევებქვეშ ჩვენ თვითონ არ მოვყვეთ...

ვაშაძის გაპრეზიდენტება თვითმკვლელობაა ქვეყნისთვის, სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება — გადარჩენის და სიცოცხლის გაგრძელების გარანტი.

ვაშაძისთვის I ტურში მიცემული 600 000 ხმა საქართველოსთვის ზურგში ნასროლი 600 000 ტყვიაა, სალომე ზურაბიშვილისთვის მიცემული თითოეული ხმა საქართველოს აწმყოსა და მომავლის ასაშენებლად დადებული თითო აგური.

ასე რომ, არჩევანი თქვენზეა, ძვირფასო ქართველებო!

ვახტანგ ხარჩილავა

პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება „ქართულ ოცნებას“ საშუალებას მისცემს, ხელოვნური დაბრკოლებების და მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საფრთხის გარეშე, მშვიდ ვითარებაში, დროის მოკლე მონაკვეთში, შეასრულოს ყველა ის პირობა, რაც მან საქართველოს მოსახლეობას მისცა.

გრიგოლ ვაშაძის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ჩვენ ვირჩევთ ნულს, ცარიელ ადგილს, ბლეფს, „ფუფლოს“, რომლის შედეგად ხელში შეგვრჩება ავლაბრის რეზიდენციაში გამოდგმული ულვაშებიანი თოჯინა, რომელსაც არაფრის შეცვლა, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, გარდა ერთისა – ხანდახან წამოიჩხავლოს და სულელური ლოზუნგები წამოისროლოს.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

დღეს ჩვენი ბედი საარჩევნო უბნებთან ჩვენ თვითონ უნდა გამოვჭედოთ

დავით მაღრაძე, პოეტი:

არჩევნების თარიღი ახლოვდება და ვნებათა ღელვაც მძაფრდება.

ჩვენ ისეთი იღბალი გვარგუნა განგებამ, მოკლებული ვართ იმ ფუფუნებას, არჩევნები ისე ჩატარდეს, რომ კანდიდატებს მიეცეთ თავიანთი პროგრამების განხილვის საშუალება...

თუ ვინმესთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს ჩემს სიტყვას და ჩემს პოზიციას, მინდა ვთქვა, რომ ეს არჩევნები, შეიძლება, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, რასაც ჩვენ შევსწრებივართ...

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმ ხალხზე, რომლებმაც არასამთავრობოები დაირქვეს. თურმე იმხელა ძალა ჰქონდა ნაციონალებს და მერაბიშვილს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ნიშნავდნენ. თუ მოისურვებდნენ, ერთ დღეს ადამიანი გახდებოდა ენჯეოშნიკი, ვთქვათ, ერქმეოდა სამოქალაქო საზოგადოება, ვთქვათ, კაპიტანი გიგაური, რომელიც იყო შს სამინისტროს წარმომადგენელი. მერე მერაბიშვილმა გადაიფიქრა და დანიშნა სამოქალაქო სექტორად. კიდევ სხვები სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენენ თითქოს, მაგრამ მინდა გავუცრუო იმედები ყველას, რადგან სამოქალაქო საზოგადოებად ადამიანები არ ინიშნებიან. სამოქალაქო საზოგადოება ვართ ჩვენ, ხალხი. სამოქალაქო საზოგადოება იცავდა თავისუფლებას მოძალადე ნაციონალური რეჟიმის დროს...

დღეს ვინც სამოქალაქო საზოგადოების სახელით ლაპარაკობს, ეს ხალხი მოძალადის მხრიდან მახსოვს, კარგად, აი, ეს არის დღევანდელი ჩვენი მძიმე სურათი, მაგრამ ღმერთმა ინება და ხალხმაც ინება და ყველას თავისი სახელი ჰქვია, რაც უნდა ჩაწერონ თავის ავტობიოგრაფიაში...

ხალხმა თვითორგანიზება მოახდინა. როდესაც კი საფრთხე იგრძნო, თვითონ გახდა მოკარნახე, თავისი ბედის გამგებელი, სხვას კი არ მიანდო ბედი, თვითონ გახდა საკუთარი ბედის გამგებელი და კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ჩვენს ხელისუფლებას, რომ მათი კეთილი ნების ანაბარად ჩვენს ბედ-იღბალს არ დავტოვებთ. არც მათი დანიშნული გამგებლების იმედად დავტოვებთ ჩვენს ბედ-იღბალს.

კაცს იმ ქვეყნის პრეზიდენტობა მოუნდა, რომელიც მისი გამომზრდელი ქვეყნისგან იბომბებოდა...

მე წავიკითხე ის სამარცხვინო წერილი, რომელსაც მინისტრი წერს რუსეთის ხელისუფლებას, რომ ის მზად არის ანსამბლები გაუგზავნოს რუსეთს 2008-ში, ომის შემდეგ, ვიმღეროთ და ვიცეკვოთო, ამაზე არის მზად. აი, ეს მოიფიქრეს მიშამ და გრიშამ.

როგორც ვახტანგ ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტეში" სიკო და ნიკო ვერაფერს რომ ვერ მოიფიქრებენ და იტყვიან: ვიმღეროთ დავიცეკვოთო. ასე არიან მიშა და გრიშა. მე კულტურული ურთიერთობების წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი ურთიერთობები სხვა სივრცეებს გულისხმობდა და არა ტანცკლასს, რომელიც ჩაიფიქრეს ამხანაგმა მიშამ და ამხანაგმა გრიშამ. დღეს სასწორის ერთ პინაზე არის წარმოდგენილი საბჭოთა რუსეთი, ამხანაგი ვაშაძის წარმომადგენლობით, მეორე პინაზე არის ევროპული საქართველო.

ძალიან მკაფიო არჩევანია და ორიოდ სიტყვით შევეხები ჩვენს ემიგრაციას, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ რამდენიმე წელიწადში ტოვებს საქართველოს ბრძოლით და მიაქვთ სამშობლო უცხოეთში. მთელი ცხოვრება ამ ხალხმა თავიანთი სამშობლო ღირსებით ატარა იქ, უცხოეთში. ბევრმა მათგანმა საფრანგეთის მოქალაქეობა არ მიიღო იმის დასტურად, რომ ისინი რჩებოდნენ საქართველოს მოქალაქეებად.

ქალბატონმა სალომემ, როდესაც დაუდგა არჩევანი, დათმო საფრანგეთის მოქალაქეობა და აირჩია საქართველოს მოქალაქეობა.

სააკაშვილს როცა დაუდგა არჩევანი, პირველივე „მოსახვევში" ქართული პასპორტი მოისროლა და დიდი ენთუზიაზმით გახდა უკრაინის გუბერნატორი. მან სამშობლო გაცვალა გუბერნატორის სავარძელზე.

დღეს ჩვენი ბედი საარჩევნო უბნებთან ჩვენ თვითონ უნდა გავჭედოთ. ეს არის ჩვენი ამოცანა.

მათ ვერც ერთი ხმა ვერ უნდა მიიღონ საქართველოდან. მათი ანგარიში უნდა იყოს ზერო, იმიტომ რომ, მათი სახელი არის ზერო.

ჩვენ საბედისწერო არჩევნები გვიახლოვდება და მე მინდა გითხრათ, რომ თუ ქართული თავმოყვარეობა იმ ქალებზე დადგა, ბაზალეთის ძირში რომ აკვანია, იმაზე იქნება საოცნებო, საბჭოთა გადმონაშთმა პროცენტები კი არა, ვერც ერთი ხმა ვერ უნდა აიღოს საქართველოში...

არც ერთი ხმა საბჭოთა რუსეთს საქართველოდან, არც ერთი ხმა ვაშაძეს. სალამი ევროპულ საქართველოს მომავალს, სალამი სალომეს!

ფრაგმენტი რუსთავის თეატრში წარმოთქმული სიტყვიდან

„ნაციონალები" რომ უკან მობრუნდნენ, სისხლის ტბები დადგება საქართველოში"

რედაქციის სტუმარია, ცნობილი იურისტი, ადვოკატი დიანა გვიშიანი.

- ქალბატონო დიანა, თქვენ, სტაჟიან, გამოცდილ იურისტს, რითი დაგამახსოვრდათ „ნაციონალების" ცხრაწლიანი მმართველობა?

- არნახული უკანონობით, კანონის ფეხქვეშ გათელვით.

- მე მახსოვს 2012 წლის სექტემბრის ბოლო, როცა გავრცელდა ე.წ. ციხის კადრები, რაც საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელი იყო...

- სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს კადრები არ იყო მოულოდნელი და წარმოუდგენელი, რადგან მაგ დროისთვის უკვე დიდი ხანია სისტემაში ვმუშაობდი და ვიცოდი, რომ კარანტინის დაშლის დროს პატიმრებს სცემდნენ. ამიტომ, ჩემს დაცვის ქვეშ მყოფებს ყოველთვის ვაფრთხილებდი: არ შეეპასუხოთ, არ გაუძალიანდეთ, თორემ ცემით მოგკლავენ-თქო. ბევრი ასეთი შემთხვევა მქონია პრაქტიკაში.

მერე, ციხეშიც ხდებოდა ზეწოლა, ღირსების შელახვა. მაგალითად, შედიოდა ბადრაგი და ეუბნებოდა ტუსაღს: შეძვერი საწოლის ქვეშ და სანამ არ მოვალ, არ გამოხვიდეო. აბა, გაგებედა და არ შეგესრულებინა ბადრაგის ახირება! სამწუხაროდ, პატიმრები ამაზე იშვიათად თუ ყვებოდნენ, თან გთხოვდნენ, არ გაახმაუროთო. ჯალათების ეშინოდათ. არ მისახელებდნენ მოძალადე ბადრაგების ვინაობას, რადგან პატიმარს მართლა მოკლავდნენ.

- ცემით?

- არა მარტო ცემით. გადაიყვანდნენ სამკურნალო დაწესებულებაში, იქ სხვა დიაგნოზს დაუწერდნენ და ვერსად იხილებდი. შეკრული წრე იყო, გამოსავალი არ არსებობდა... სწორედ, ასე მოექცნენ ჩემს დაცვის ქვეშ მყოფ პატიმარს, **თამაზ დადვანს**. თამაზი 22 წლის იყო, როცა ყაჩაღობის მუხლით გაასამართლეს. რვა წელი მოუსაჯეს დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია; ხოლო, რამდენიმე თვეში სიცოცხლე მოუსწრაფეს. ჯანმრთელი, ძლიერი ბიჭი იყო, ვერ ეგუებოდა მათ „წესებს". ეტყობა, სიტყვასაც უბრუნებდა, როცა უმიზეზოდ ურტყამდნენ. მან მომიყვა, როგორ ჩაუნგრიეს ორგანოები ოცმა თანამშრომელმა. ერთ დღეს დაგვიკავშირდნენ თამაზის ოჯახის წევრები, გვითხრეს, ძალიან მძიმედ არის და გვიშველეო. ვუთხარი მათ, შევალ და ვნახავ-მეთქი. ციხის საავადმყოფოში შევედით მე და ჩემი კოლეგა – **მაია დონაძე**. თამაზი ჯერ კიდევ დადიოდა, მაგრამ ძალიან გაუბედურებული იყო. მახსოვს მთხოვა, ჩემი შეცვარებულის სურათი დამრჩა საყვრობილეში და გზხვეწები, იმ კედლებში ნუ დამიტოვებო... მეორედ რომ მივედით, ციხის ექიმებმა გვითხრეს, მფრინავი ტუბერკულოზი აქვს და პირბადეების გარეშე ნუ შეხვალთო. პირბადეები თავად არ ჰქონდათ და მაინც შევედით. თამაზ დადვანმა მოგვიყვა, როგორ სცემეს ის ბადრაგებმა. მანდ მთავარია, არ წაიქცე, თუ წაიქეცი, ზედ შეგდგებიანო. თავიდან ვუძლებდიო, თქვა, მერე დიდი ტანის ბადრაგი მოვიდა, იმან დამარტყა, წავიქეცი და შემდგნენო... სვანი იყო და ღირსების შელახვას ვერ აიტანდა. ალბათ, ამიტომაც ცემდნენ უმოწყალოდ, რომ ოთხზე არ დადიოდა, საწოლის ქვეშ არ ძვრებოდა, როგორც ზოგიერთი... რეანიმაციაშიაო გვითხრეს. ის ოთახი მორგს უფრო წააგავდა. თამაზი საწოლზე ეგდო, არაფერი ეფარა, მოძრაობის უნარიც არ ჰქონდა. ხელი მოვკიდე ხელზე და ისე მოვაწერინე ექსპერტიზის დანიშვნის თხოვნაზე... გვერდით ედო ხელუხლებელი ცელოფნის პარკში ოჯახიდან გამოგზავნილი თეთრეული და ტანსაცმელი. თეთრეული არც კი გადაუკრავთ. ზამთარი იყო. ერთადერთი ამოილუღლუღა: ფანჯარა დახურეთო. იქვე კიდევ ორი პატიმარი იწვა მოკუნტული საწოლზე, არანაირი სამედიცინო აპარატურა და ნივთი იქ არ მოიპოვებოდა. იწნენ და ელოდნენ სიკვდილს. მაიამ და მე

თამაზი გავამხნევეთ: ნუ გეშინია, ყველაფერს გავაკეთებთ, ხვალ გამოხვალ-მეთქი. -ექსპერტიზის დასკვნა რომ იქნება, მერე, მაინც, ხომ დაიჯერებენ, რა მიქნესო, თქვა. იმედი მიეცა. ოთახიდან რომ გამოვედით, ექიმი ვნახეთ, ვუთხარით, მიხედეთ ბიჭს, რომ გდია იქ, გადასხმა მაინც გაუკეთეთ- თქო. ექიმმა ირონიულად გაიღიმა... მეორე დილას დამირეკეს და უხეშად მითხრეს, შენი პატიმარი მოკვდა და ოჯახს გაატეხინეო. ოჯახის წევრებს ხელი მოაწერინეს იმაზე, რომ პრეტენზიები არ ექნებოდათ...

- ქალბატონო დიანა, ოჯახის წევრებს პრეტენზიები რომ გაჩენოდათ, მაშინ რა იქნებოდა?

— თამაზ დადვანის ოჯახის წევრები დააშანტაჟეს, ამ საბუთს ხელს თუ არ მოაწერთ, ცხედარს არ გაგატანთო...

სააკაშვილის მმართველობისას, პატიმარი ვერ წერდა საჩივარს კონკრეტულად რომელიმე ბადრაგის წინააღმდეგ. ვინც დაწერა, არ დაადგა კარგი დღე, ცემით მოკლეს ამის გამო. მაგალითად, გადაიყვანე ნაცემი, ფეხმოტვრეული პატიმარი ციხის საავადმყოფოში, მაგრამ პატიმარმა არ დამი-

დასტურა, რომ მას ფეხები ციხის ადმინისტრაციამ მოუმტვრია. მე როგორღა უნდა დამემტკიცებინა ადმინისტრაციის დანაშაული?

- რისთვის მოუმტვრიეს მას ორივე ფეხი?

— შესთავაზეს, ან გაგაუპატიურებთ, ან ფეხებს მოგამტვრევთო. მეორე აირჩია. ეს მერე გავიგე. დღემდე ეტლში ზის და, მიუხედავად იმისა, რომ ითხოვს სახელმწიფოსგან დახმარებას, როგორც რეჟიმის მსხვერპლი, არ ეხმარებიან, რადგან სააკაშვილის ხელისუფლება იურიდიულად არ არის გაფორმებული, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმი... მახსოვს, ერთხელ ციხის საავადმყოფოში ერთ-ერთ პატიმარს გავესაუბრე, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტს. ცემასა და ზეწოლას ვერ გაუძლო და ფსიქიკური აშლილობა დაემართა. ეს ახალგაზრდა აღმოჩნდა მწერალ **ლერი ალიმონაკის** შვილი, **გიორგი ალიმონაკი**. თავის ადვოკატს ჰყავდა შემოყვანილი ინვალიდის ეტლით. გიორგის ეჩვენებოდა, რომ მასთან მუდმივად იმყოფებოდნენ 6–7 ბიჭი, თითოეული მათგანი თავისი ბავშვობის ეპიზოდი ეგონა. გვთხოვდა, სახლში წამიყვანეთ, დედასთანო. არც კი ახსოვდა, რომ პატიმარი იყო. ერთი სიტყვით, სააკაშვილის რეჟიმის დროს პატიმარი ბადრაგის საკუთრება იყო, ნივთი ...

— თქვენი აზრით, „ნაცები" ასე სასტიკად, რატომ ეპყრობოდნენ ადამიანებს?

— შეხედეთ მათ ლიდერებს. ვინ არიან ისინი? სულით და ხორცით მაზინჯი არსებები, რომლებმაც გადაწყვიტეს ლამაზი, ჭკვიანი ქართველი ერის გენოციდი. მათი პათოლოგიური სისასტიკის მიზეზის სხვა ახსნა მე არ მაქვს.

ესაუბრა
გიორგი კორძაძე

სალომე ზურაბიშვილი მეორე ტურს დიდი უპირატესობით მოიგებს

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი ნიკუშა შენგელია:

— ბატონო ნიკუშა, ხვალ, არჩევნების მეორე ტურია. რა მოლოდინი გაქვთ და როგორ მივედით ამ შედეგამდე?

— არჩევნებამდე მოცემულ ინტერვიუში, თუ გახსოვთ, დავუშვი ალბათობა, რომ საქმე მეორე ტურამდე მივიდოდა. მოგეხსენებათ, დემოკრატიული გარემოსთვის მეორე ტური ტრაგედიას სულაც არ წარმოადგენს. ფაქტია, საზოგადოებაში არსებულმა უკმაყოფილებამ იფეთქა. პირადად, მე, „ნაციონალური მოძრაობა“ ნორმალურ ოპოზიციურ ძალად არ მიმაჩნია. იგი ყოველგვარ ბოროტებას თესავს. ეს რომ არა, ასეთი დაძაბული გარემო არ იქნებოდა. მათი მმართველობის პერიოდშიც იგივე ხდებოდა. „ნაცმოძრაობის“ ლიდერის პირიდან სიძულვილის ენისა და ტყუილის გარდა, სხვა არაფერი მახსენდება, რაც სრულად აქვს მის პარტიას ათვისებული. შედეგად, სიძულვილის, არეულობის, ტყუილის, ბოროტების გარდა, მათგან სხვა არაფერი მოდის. ეს რომ ნორმალური ოპოზიციური ძალა იყოს, სამოქალაქო საზოგადოებაში ასეთი დაძაბულობა არ იარსებებდა. ხალხი მოჯადოებულ წრეშია, მუდმივად ორ ძალას შორის იჭყლიტება. საზოგადოების დიდმა ნაწილმა რომელიც არჩევნებზე არ მივიდა, დღევანდელ ხელისუფლებას ამით კონკრეტული მესიჯი გაუგზავნა. აღვნიშნე, რომ „ნაციონალების“ სახით ჯანსაღი ოპოზიცია არ გყავს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ყურადღება მოადუნოს და ხალხის გულისცემას აღარ მოუსმინოს. ასე, რომ მეორე ტურამდე ბევრი მიზეზის გამო მივედით. ეს გახლავთ: მმართველი ძალის პოლიტიკისადმი წარმოების მიმართ არსებული დამოკიდებულება, არასწორი მართვის ვერტიკალი, სამართლიანობის აღდგენის დაყოვნება და ა.შ. ვიცით, რომ „ნაცმოძრაობამ“ ათასობით ოჯახი დააქცია, ამ დროს, სამართლიანობის აღდგენა გაჭიანურდა. გარდა ამისა, საზოგადოება საკვანძო თანამდებობებზე ხედავს პორტირებულ ადამიანებს, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ დროს ძალადობდნენ, რაც ხალხს აღიზიანებს. ამას ემატება უკიდურესად დიდი გაჭირვება, რაც მოსახლეობის დიდ ნაწილზე აისახება. ამ ყველაფრის ერთობლიობამ შექმნა ის სურათი, რომ დამოუკიდებელმა კანდიდატმა არჩევნები მხოლოდ ერთი პროცენტით მოიგო. ხალხს, პროცენტულად ასეთი მცირე სხვაობა, გაუკვირდა. პრინციპში, ამომრჩევლის 100%-იდან „ნაცმოძრაობამ“ 17% მიიღო. ეს ის 17%-ია, რაც მათ წინა საპარლამენტო არჩევნებშიც ჰქონდათ. ადამიანების დიდ ნაწილს ვერ წარმოუდგენია, რომ ამ ძალას პოლიტიკაში მოსვლაზე კიდევ აქვს პრეტენზია, მაგრამ როცა ირგვლივ ამდენი გაჭირვებულია, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი სამართლიანობის აღდგენას ისევ ელოდება, შეიძლება ეს შედეგი მიიღო. ამიტომ, ვივარაუდე, წინა ინტერვიუში მეორე ტური. ჩვენ, საზოგადო მოღვაწენი ხომ ხალხის მაჯისცემას მძაფრად ვგრძნობთ იმიტომ, რომ კაბინეტებში არ ვსხედვართ, ხალხთან ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ ხალხი გვიყვარს, გვიცნობს, ჩვენთან მოდიან და საკუთარ გულის წუხილს გვიზიარებენ, რითაც ვგებულობთ მათში თუ რა განწყობაა. სამწუხაროდ, კაბინეტებში მსხდომთათვის ეს განწყობა უცნობია, ისინი სწორ ანალიზს არ აკეთებენ, ჭკვიან ხალხს ყურს არ უგდებენ, ფიქრობენ, რომ თავად ყველაფერი ყველაზე კარგად იციან. აქ იწყება ხელისუფალის დაავადება, რაც ცუდად მთავრდება-ხოლმე. სხვათა შორის, ზუსტად ეს ვიგრძენი ბიძინა ივანიშვილის მიმართვაშიც და „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუშიც. იმედი მაქვს, მმართველი ძალა ამ გზავნილს სწორად გაიგებს. „ნაცებისგან“ განსხვავებით, „ქართული ოცნება“ შენიშვნებს ითვალისწინებს და იმედია, სწორ ანალიზსაც გააკეთებს. არ დაგავიწყდეს, რომ წინ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მოდის. ჩვენ, საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ და ხელისუფლების გადაბარება 2020 წელს ხდება. ამიტომ, ამ ორ წელიწადში საზოგადოება უნდა გააქტიურდეს. აუცილებელია, გაჩნდეს მესამე ძალა, რაზეც „საერთო გაზეთთან“ ინტერვიუებში ადრეც მისაუბრია. კი, ბევრი ავანტიურისტიც გამოჩნდება, მაგრამ წესიერ, კომპეტენტურ ძალას საზოგადოება ყოველთვის მიესალმება.

— ბატონო ნიკუშა, პირველმა ტურმა გამოაჩინა თუ რა ძალა აქვს ხალხს. მეორე ტურის წინ ჩამოყალიბდა სამოქალაქო მოძრაობა — „მე ვიცავ თავისუფლებას“, რომელიც მეტად აქტიურობს, ვიდრე თავად „ქართული ოცნება“.

— საზოგადოება, ყოველთვის, უფრო ჯანსაღ რელსებზე დგას. კარგი იქნება პოლიტიკური პარტიაც ასე იყოს. წინა პლანზე ხალხის გულწრფელი წუხილია. მას არ სჭირდება გაუგებარ თამაშებში შესვლა, იგი წუხს ქვეყნის, მისი ოჯახის ბედზე. ყველაზე მთავარი საზოგადოებრივი პოლიტიკის წარმოებაა. თუ დემოკრატიულ სივრცეში ცხოვრება გვინდა, ამ თამაშის წესისთვის, საზოგადოებრივი პოლიტიკის კეთება, მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლების მხრიდან არ ჩანდა, გარკვეული გათიშულობა იყო. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნებისას აღნიშნა: ვიგრძენი, რომ მმართველმა ძალამ ხალხის გულისცემა დაკარგაო. ამიტომაც დაბრუნდა. რაც მთავარია უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები და არა ფასადური. საკადრო პრობლემაც სახეზეა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მთავრობა ცუდად მუშაობს. ბევრი რამ კეთდება თუმცა, შეიძლებოდა უფრო ეფექტური ყოფილიყო საკადრო, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მყისიერი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ქვეყანას წაადგებოდა. მნიშვნელოვანია.

— ბატონო ნიკუშა, სამოქალაქო მოძრაობა —„ მე ვიცავ თავისუფლებას“, საქართველოს მასშტაბით ატარებს შეხვედრებს. რა განწყობებია რეგიონებში, რამდენად მზად არის სახლში დარჩენილი 53% არჩევანის გასაკეთებლად?

— ხალხის განწყობა ძალიან შეცვლილია. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი არჩევნებზე არ მივიდა. ჯანმრთელი გარემოს კუთხით, კარგიც კი არის, რომ მეორე ტური

დაინიშნა. ამან დღევანდელი მმართველი გუნდი გამოაფხიზლა. ეს რომ 2020 წელს მომხდარიყო, შეიძლება დიდი ტრაგედია მოჰყოლოდა და „ნაცები“ ყველა სახელისუფლო შტოში დაბრუნებულიყვნენ. „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი ვერცერთ სახელისუფლებო შტოში ვერ წარმომიდგენია. ეს, უკვე, მორალურ-ზნეობრივი საკითხია. ამ კუთხით, ხალხი, ერთიანია. მაგრამ მოსახლეობა მხოლოდ მორალურ-ზნეობრივი თემებით არ ცხოვრობს. შეიძლება საზოგადოების დიდი ნაწილი ცხოვრობს ასე, მაგრამ მათ ასევე ესაჭიროებათ სამსახური, საკვები, შვილების განათლება. ხალხს მხოლოდ ზნეობრივ პოსტულატებს ვერ მიაწოდებ. ამიტომ, აშკარაა, რომ ხალხი ჩვენს გარეშეც აქტიურობს. მეორე ტურში ბევრად უფრო იმედიანად ვარ, რომ ქალბატონი სალომე გაიმარჯვებს იმიტომ, რომ ერი გამოფხიზლდა. „ნაციონალების“ მოსმენა უკვე შეუძლებელია. იმედი მაქვს, რომ ღირსეული, თავისუფლების მოყვარული, შვილების ბედზე მზრუნველი და სამშობლოს მოყვარული ადამიანი გაიმარჯვებს.

დიახ, ამიტომაც მაქვს ადამიანების იმედი. ახლა, საკითხი ასე დგას: ან ბნელ წარსულს ვირჩევთ ან ქვეყნის განვითარებას. დემოკრატია ერთჯერადი აქტი არ არის, მუდმივად, განვითარებულ პროცესებს უნდა მისდიო და ხელისუფლება ისეთ მდგომარეობაში ჩააყენო, რომ იგი, იძულებული გახდეს სულ გისმენდეს და საზოგადოების დაკვეთას ასრულებდეს. „ნაცმოძრაობის“ სურვილები ქართველი ხალხის მოთხოვნებს არ ემთხვევა ამიტომ, ვერაფერს გახდებიან. ხომ გამოჩნდა მათი რეალური სახე — ვინ ვინ არის, ვინ ვის მიეტმასნა, ვითომ, გაყრილები რომ იყვნენ. ვერ გამიგია, ეს რა სამყაროა. მათ უზნეო საქციელს არც ვიცი რა დავარქვა — ერთ დღეს ერთმანეთს ლანძღავენ, მეორე დღეს პროშნიან, რათა ძალაუფლებაში მოხვდნენ და თბილი კაბინეტები დაიკავონ. ეს არანაირ ადამიანურ ფასეულობაში, ზნეობაში არ ჯდება. ადამიანების დიდ ნაწილს მათი მხარდაჭერა ვერც წარმოუდგენია, მაგრამ ხომ ხედავთ ეს ყველაფერი სად მიდის. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, ასე რატომ ხდება. ყველამ იცის „ნაცმოძრაობა“ რასაც წარმოადგენს. ამიტომ, ადამიანებს, რომლებიც არჩევნებზე არ მოვიდნენ კიდევ ერთხელ ვთხოვ: იაქტიურონ, რათა თავიანთი პასიურობით ამ მოძალადე, ბნელი ძალის დაბრუნებას ხელი არ შეუწყონ.

— რას იტყვით, საარჩევნო კამპანიაში მასმედიის, ენ-ჯე-ოების როლზე?

— „რუსთავი2“-ს როგორ უნდა მოატყუებიო თავი, ეს თავმოყვარეობის საკითხია. სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილიამ არხს უყურებს და გულს იოკებს. რაც შეეხება ენ-ჯე-ოებს, ისინი ყველა ქვეყანაში დემოკრატიული წყობის ერთ-ერთი ნაწილნი არიან. ისინი კონსტრუქციული კრიტიკოსები უნდა იყვნენ, ამხილონ შეცდომები- ში როგორც ხელისუფლება, ასევე, ოპოზიცია. თუმცა, ხშირად მათ სპონსორები თუ დამფინანსებლები პოლიტიკური მოტივებით იყენებენ. ამიტომ, ხალხმა უნდა განსაჯოს რომელი ენ-ჯე-ო რას ემსახურება.

— რა არის დღეს ჩვენი არჩევანი — ევროპა თუ საბჭოთა წარსული?

— „ნაციონალებს“ რომ უსმინო: ევროპა თავად არიან, ხოლო ქალბატონი სალომე თურმე, რუსეთის გადმონაშთია. სირცხვილია ამაზე საუბარი. თუ ხალხი ტყუილ-მართალში ვერ ერკვევა, მაშინ უბედურება არ აგვცდება. ყველაფერი ცხადზე ცხადია. გადაბრალება, რაც „ნაცებს“ სჩვევიათ, ძველი ჩეკისტური ტაქტიკაა.

„ნაცმოძრაობა“ გვსაყვედურობს: ცხრა წლიან რეჟიმს რატომ იხსენებთო. იმიტომ ვიხსენებთ, რომ როგორც ილიამ თქვა: წარსული ქმნის აწმყოს, აწმყო — მომავალს. თუ ჩვენი წარსული არ გვეხსომება, ვერასდროს შევცვლით ვერც აწმყოს, ვერც მომავალს. თუ წარსული აწმყოში არ გავაანალიზეთ, სწორ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ. ამიტომ, ეს სულ უნდა გვახსოვდეს. მთელს მსოფლიოს აზსოვს ნაციზმი. იცით რატომ? — განა იმიტომ, რომ უნდათ ეს ახსოვდეთ, არამედ იმიტომ, რომ იციან: მომავალში ეს არ უნდა განმეორდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ანაცუეგისა და ბანაცუეგის „რევოლუცია“

აი, როგორიც ჰოლანდიაში გაქსუებული მიხო სააკაშვილია, ეგეთს კახეთში აჯამს ეძახიან. ეხლა მეტყვით, რათ არი აჯამი, ეგ ხო პრეზიდენტი იყოვო? თქვენ გგონიათ, პასუხზე ჯიბეში ჩავიყოფ ხელსა? არა, ეგრეევე მოგახლით: იმიტომაა აჯამი, რომ ეგ ჩემის ტრულაილა, ისევ 2003-შია ჩარჩენილი. ვეღარ მიხვდა, როგორ განვითარდა ტექნოლოგიები, აზრზე ვერ მოდის, ყველა სიტყვას რომ უწერენ, უშიფრავენ და უქვეყნებენ. კიდევ იმიტომაა აჯამი, რომ ტელეფონზე იმნაირებსა ლაპარაკობს, ყურო ნუ გაიგონებ, იქით ებრაელებს აგინებს, აქეთ გრიგოლ ვაშაძეს ყ...ს უწოდებს, ქართველ ხალხს დედას აგინებს და რაც მთავარია, რევოლუციას ხლართავს ბანაცუა გიორგი (გოგიტა) ვაშაძესთან ღლაბუცში. ამაზრზენი ფარული ჩანაწერი, რომელიც რამდენიმე დღის წინ უკრაინულ საიტზე გამოუქვეყნეს, დარწმუნებული ვარ, ავთენტურია, ანუ ნამდვილია. ეს საიდანღა ვიცი? კარგად ვიცნობ ამათ ჯიშსა და მოდგმას, მაგას რა ცოდნა და დიდი ფილოსოფია უნდა? ეგ არი, ნაღდია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა იგივე რევოლუციურ სცენარს არ ანვითარებს მისი ტელე „იაშიკი“ „რუსთავი 2“? განა ამ სცენარს

არ ანვითარებს მისი მარჯვენა ყველი ნიკოლოზ გვარამია? ისე, კახეთში მიხოსნაირ აჯამს ანაცუასაც ეძახიან, ხოლო ვაშაძის მსგავს არსებას – ბანაცუას. ეს რაღას ნიშნავს? იმას ნიშნავს, რომ ეს ეშმაკის პირიდან გავარდნილი ავაზაკები რევოლუციას აწყობენ მაშინ, როცა არც ამისი ტრაკი აქვთ და არც საამისო ავტორიტეტი. მოდით, საკუთარი თვალით გადავიკითხოთ, რას მიედ-მოედებიან ანაცუა-ბანაცუა და დანარჩენზე შემდეგ ვიმსჯელოთ.

●

მიხეილ სააკაშვილი: თქვენ რაღაც არ ხართ რევოლუციის ხასიათზე!

გიორგი ვაშაძე: დღეს, აი მართლა გეუბნები ეხლა, ბაქრაძეც იქ იყო ... „კარობჩე“ ფული, ფული, ფული აკერიათ პირზე. „ფულის გარეშე რა ჩემი ყ...ე უნდა ვქნათ“?, „რა აზრი აქვს“? ვეუბნები, ბიჭო, დავიწყოთ რა, მაგის დედა ვატირე. თუ არ დავიწყეთ, რა ფული მოვა? ეხლა ვიღაცამ ხო უნდა თქვას, რომ რაღაც შედეგზე შეიძლება გავიდნენ რა, სიტყვაზე ვამბობ.

მიხეილ სააკაშვილი: მე მაგ ინტრიგებში ჩარევა არ მინდა და ზოგადად ვუთხარი, რომ მაინტერესებს, მიყვარხართ, კაი ბიჭები ხართ, რა გიყოთ ეხლა და... არ მიგატოვებთ და ეხლა ვინ ვის არ აირჩევს, მაგრა ქინძზე მკიდია მართლა. ოღონდ გულწრფელად.

გიორგი ვაშაძე: ეხლა „იმენნა“ ნერვები მეშლება „პროსტა“ რა. და რისი იმედი აქვთ მაგ ყ... ებს, ბოზ.შვილი ვიყო...

მიხეილ სააკაშვილი: ხოდა, მთელი არსია, რომ სინამდვილეში, როგორც კი ესენი ამას გააკეთებენ, უნდა ვთქვათ, რომ ფულის პონტია და „ვსიო“, „ნახუი“, თქვენი დედაც მოვტ...ან. ვაშაძე არ იწვევს ეხლა ხალხში სიყვარულს, მაგრამ მეორეს მხრივ, ვაშაძე არის აქტიური ტიპი, ხო?

გიორგი ვაშაძე: თვითონაც არ მიაჩნია თავისი თავი კაცად, თორე სხვას რომ მიაჩნდეს, რაღაცა ისეთი... ისეთ ყლ...ობებს „ბაზრობს“ ხოლმე, რომ ბო... შვილი ვიყო ხალხი გამოყლ... ებულია.

მიხეილ სააკაშვილი: საბოლოო ჯამში, შეგვიძლია გადავავადოთ ამათი დამხობა, ან დროზე დავამხოთ და თუ იტყვის რიგგარეშე არჩევნებს, ბოდიშს ვიხდი, უნდა გადაიყვანოთ სიტუაცია რევოლუციურში და რა, არ არის მაგის წინაპირობები თუ რა? ძაან მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლების მოედანზე გადავიტანოთ და შევკრიბოთ ბევრი ხალხი.

გიორგი ვაშაძე: ხო ხედავ არა, რომ ვერ ვშვებით...

მიხეილ სააკაშვილი: არ უნდა მაგას ეხლა დიდი თეორია. არის დავალებები, რომელიც უნდა სრულდებოდეს და მე არ ვარ შეჩვეული, რომ რაღაცა არ სრულდება.

გიორგი ვაშაძე: ამ ისრაელთან დაკავშირებით მთელი ამბავია ატეხილი, გუშინ ღამე ვეკონტაქტებოდი, რა...

მიხეილ სააკაშვილი: მაგ ღორების დედაც მოვტყან ეხლა, ეგრე „პროსტა“, ისიც იფიქრეთ, რომ იქ ათასი დაინტერესებული პროჭია ადეიშვილის გამწარებული და ეხლა...

●

ესე იგი, ჰოლანდიაში ჩაკვეხებული ანაცუა ეუბნება საქართველოში „მოღვაწე“ ბანაცუას, დიადი რევოლუციის სადავეები ჩვენს ხელშიაო. თან ნახეთ, როგორი თავდაჯერებულია, თითქოს ჯადოსნური ჯოხი უჭირავს ხელში და მასზეა დამოკიდებული, რევოლუციას გადაავადებს თუ ახლავე დაიწყებს. ყოველ შემთხვევაში, ამ დამპალი ავანტიურისტის სურვილია, რომ საქართველოში რაც შეიძლება მალე დაიწყოს არეულობა. ალბათ ახლა იმასაც ხვდებით, რატომ სურდათ ე.წ. არასამთავრობოებს ე.წ. ყალბი პირადობის მოწმობების ბეჭდვის გასკანდალება, აშკარაა, ეს თემაც რევოლუციური გეგმის ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩაუვარდა თ. უკვე თავში აქვს ავარდნილი ანაცუას, მე არ მიყვარს, როცა რამე არ სრულდებაო. კი, არ უყვარდა, როცა რამე არ სრულდებოდა და ამიტომაც ცხრილავდნენ ქუჩაში ბიჭებს, ამიტომაც ართმევდნენ ადამიანებს ქონებას, აწამებდნენ ციხეებში, აუპატიურებდნენ, იღებდნენ, ამონტაჟებდნენ, აშანტაჟებდნენ და ასე შემდეგ. ესეც აღიარებითი ჩვენებაა, ანუ ესეც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ აჯამისა და ტლუს გარეშე ქვეყანაში არაფერი ხდებოდა. ეს ავალებდა, ეს ითხოვდა და მის ყვერებს ჩამოკიდებული ბაღლინჯოებიც სიამოვნებით ასრულებდნენ. სხვათა შორის, სანამ ეს ჩანაწერი გამოქვეყნდებოდა, მე მქონდა ინფორმაცია, რაც ე.წ. შინაურობაში თქვა ანაცუა სააკაშვილმა – მაგათო, ბიჭო, ბოკერიებს, ვაშაძეებს, უგულავებს, ბაქრაძეებს და მაგათთანებს გამოვიყენებ და მერე ყვერებს ქვემოთ დავიკიდებო. აჰა, ფაქტი და მტკიცებულება, იგივეს არ ამბობს? ვაშაძე ხალხში სიყვარულს არ იმსახურებს, მაგრამ აქტიურიაო. ვეღარ გაიგეს ამ კრეტინებმა, რომ ავანტიურისტ ანაცუასა და ტყლარწ თემურ ალასანიას ხელში პაიკებიც კი არ არიან, ჩვრების როლს ასრულებენ და როცა ყველაფერი მორჩება მათ საზიანოდ, სამუდამოდ გაიწირებიან. მაგასო, ეუბნება ბანაცუა ანაცუას, თვითონაც არ ჰგონია თავი კაციო. ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდათ? ამას, ამ ულვაშას თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, ეგრეევე დაახვევდა არჩევნებიდან, მაგრამ ეგეთი რაღაცები მხოლოდ საკაცეთში ხდება ხოლმე. ისე, რა თქვა ბანაცუამ ულვაშაზე ტყუილი? კაცი რომ იყოს, იმას არ იკადრებდა ქალის წინააღმდეგ, რაც თვეების განმავლობაში იკადრა.

ბანაცუა (გოგიტა) თავს იკატუნებს, უიმე, ჩემი ხმა ვერ ვიცანი, ეგ ყველაფერი დადგმულიაო. ჩვენ ვიცანით, ბიჭო, ჩვენ... ისიც კარგად ვიცანით, თქვენმა ტყლარწმა კარდინალმა, თემურ ალასანიამ რომ თქვა ქართველ ხალხზე, ზედ თუ არ დაა...ვი და დედა არ მოუტყ...ანი, აზრზე ვერ მოდიანო. ეგა ხართ, მეტი ინტელექტი და გონება არ გაგაჩნიათ. მთელი ცხოვრება ძალადობით და სისხლით გაგქონდათ... შენ კი რა, შენ რისი ტრაკი გაქვს, იმათზე ვამბობ, თავზე რომ გაფსამენ და იძახი, ჟუჟუნა წვიმა მოდისო.

ბანაცუა ანაცუას შესჩივის, შტაბში სულ ფული აკერიათ პირზეო, აღარ არი და ვერაფერს ვაკეთებთო. ანაცუა პირდება, როცა მეფე გავხდები, არ დაგივიწყებთ, კაი ბიჭები ხართ, ძალიან მიყვარხართ, ისე არ დაგტოვებთო. ჰმ... პირდება ბიჭებს, ჯერ ეუბნება, მიყვარხართო, მერე იძახის, ყვერებს ქვემოთ დავიკიდებო. პირდება „პოსლეზე“, ეხლა შეუტიეთო, ახალ წლამდე დავამთავროთო... არა, თუ გინდათ, ამათი დამხობა ცოტა ხნით გადავდოთ, მაგრამ არ ღირსო. ეგრე რაა, ტაშიიი!

სხვათა შორის, ხალხო, მე პირადად ერთი შეცდომა მაქვს ამ კუთხით დაშვებული და ყველანაირად ვეცდები, აღარ გავიმეორო. 1991 წლის 20 დეკემბერს პარლამენტის წინ ცოცხალ ჯაჭვში ვიდექი. ჩვენ კიტოვან და მისთანებს ვეხვეწებოდით, რომ არ ესროლათ. მაინც ისროლეს. ახლა ცოტა სხვა დროა, იარაღით გამოსვლა აღარ გამოვა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო დიდი და ამაზრზენი „ბომბი“ არსებობს ქვეყანაში – „რუსთავი 2“ და მასთან მიერთებული სხვა ტელევიზიები, რომლებიც პირდაპირ აყ...ევებენ ადამიანებს. უნდა მეთქვა, ტვინებს ურეცხავენ-მეთქი, მაგრამ ეს უკვე დაყ.. ევებაა (ბოდიშს ვიხდი უცენზურო სიტყვებისთვის). ამ ყველაფერს ხელს უწყობენ არასამთავრობოები და მათთან გათანაბრებული დაუსრულებელი, უსაქმური არსებები. სახელმწიფოს წინააღმდეგ მოედინება დიდი ნიაღვარი სიცრუისა, ბოღმისა და გარყვნილებისა, თუ ამას არ აღვუდექით წინ, კიტოვანის ჟანგიანი ზარბაზანი მონაგონი იქნება!

ისე, ბატონო მიხავ... უკაცრავად, ანაცუავ, ჩემი თხოვნა იქნება, რევოლუციურზე შენი სიდედრი გადაიყვანე, ქვემოდან „ხლაპუშკა“ შეუგდე და ახალ წელს ააფეთქე!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ხალხი და მხოლოდ ხალხი!

2012 წლის 2 ოქტომბერი — 2018 წლის 25 ნოემბერი — ეს ერთმანეთისგან ექვსი წლით დაშორებული ორი დღე სინამდვილეში ერთი და იგივე დღეა.

2018 წლის 25 ნოემბერს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ ორგანიზებულა აქციაზე ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გაიმეორა 2012 წლის 2 ოქტომბერი და კიდევ ერთხელ უთხრა „ნაცმოძრაობის" კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმს: არა!!!

— არჩევნები კი არა, რეფერენდუმია ეს, რეფერენდუმი! — იმდენი იძახეს ნაციონალებმა, რომ 25 ნოემბერს მართლაც მიიღეს რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა „ნაცმოძრაობას" უკან მობრუნების ყოველგვარი ილუზიები გაუქარწყლა და ეიფორიულ-აჟიტირებული მდგომარეობიდან მკაცრ რეალობაში დააბრუნა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია, 25 ნოემბრის აქციაზე არავინ მისულა მატერიალური სარგებლისთვის, არავინ მისულა მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარების მოთხოვნით, არავინ მისულა რაღაცის სათხოვრად, ყველანი ღირსების დასაცავად, სამშობლოს დასაცავად, ქვეყნის გადასარჩენად მივიდნენ.

25 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ეს ასი ათასი კაცი რაღაცით გაგონებს საუკუნეების წინათ, თავისუფლების მოედნის ცოტა ქვემოთ, სარწმუნოებისათვის, მამულისათვის, ღირსებისათვის წამებულ ასი ათას ქართველს.

მინდა მუხლი მოვიყარო მათი ხსოვნის წინაშე და ყველა იმ ქართველის წინაშეც, ვინც დღეს, 21-ე საუკუნეში, საკუთარი სიცოცხლის ფასად, მტკიცედ და შეუპოვრად აგრძელებს იმ მოწამებრივ გზას, რომელიც განგებამ გვარგუნა.

მინდა მუხლი მოვიყარო იმ ასი ათასი ქართველის წინაშე, რომელიც 25 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე იდგა, მინდა მუხლი მოვიყარო იმ ქართველების წინაშეც, რომლებიც 28 ნოემბერს საარჩევნო ყუთებთან მივლენ და 48 ნომერს შემოხაზავენ, არა იმიტომ, რომ სალომე ზურაბიშვილის ან „ქართული ოცნების" ვალი აქვთ, არა იმიტომ, რომ ან ერთისგან ან მეორისგან რაიმე განსაკუთრებულ სიკეთეს გამოელიან, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ თავზე მეტად საქართველოზე ფიქრობენ, საკუთარ თავზე მეტად საქართველო უყვართ და მასზე წუხან და დარდობენ.

●

ოცდაათი წლის წინათ დაწერილი ჩემი ერთი ლექსი მინდა გავიხსენო:

როცა ეგონათ, გადაივიწყა

ხალხი და მხოლოდ ხალხი
გალაკტიონი

როცა ეგონათ, გადაივიწყა,
რაც ტკივილი და ტანჯვა იწვნია,
მაშინ თქვა სწორედ: — მე არაფერი,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

როცა ეგონათ, დაჩაჩანაკდა,
დაუძლურდა და უკვე იძლია,
მაშინ შესძახა: — მე არაფერი,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

მაღალ დროშებს რომ ასდით ალმურად,
უანკარესი მისი სისხლია.
— ნუ გეშინია, ჩემო მამულო,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

არ შეიძლება გახდეს ბეჩავი,
ვინც ისტორიის მეკვლედ გვიცვნია,
— თქვენ არაფერი არ შეგეშალოთ,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

თითქოს დღევანდელ დღეზეა ეს ლექსი დაწერილი, არადა, როგორც გითხარით, ოცდაათი წლის წინათ გამოქვეყნდა.

ოცდაათი წლის შემდეგაც ასე იქნება და ორმოცდაათი წლის შემდეგაც — ქართველ ხალხს არასოდეს არაფერი დაავიწყდება და მის შეურაცხმყოფელს, მის აბუჩად ამგდებს ყოველთვის ღირსეულ და საკადრის პასუხს გასცემს.

ვახტანგ ხარჩილავა

ამ კაცმა კარიერა გაიკეთა დასმენით. ახლა ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო კგბ-ს დამსმენს აირჩევს პრეზიდენტად?

გოგა ხაინდრავა,
კინორეჟისორი:



კიდევ ერთხელ და ყველგან ბოდიშს მოვიხდი იმ ამაზრზენ ყოფაზე, რომელშიც ვართ უკვე სამი თვეა, იმ ამაზრზენ სიტუაციაში, როცა ქალბატონს, დედას შეურაცხყოფას აყენებენ ყოვლადღიურად, ცილს სწამებენ. მე საბჭოთა პერიოდში, გადასახლებაში დაბადებული კაცი ვარ, უბედურებები მახსოვს, 60-იანი წლებიდან, მაგრამ მე მსგავსი არაფერი მინახავს, რისი მომსწრეც ვართ. იმას, რასაც ეს შხამკომბინატი აკეთებს, რასაც რატომღაც „რუსთავი-2" ჰქვია და რუსთავთან არავითარი კავშირი არ აქვს. ისინი ჯოჯოხეთის მოციქულები არიან.

ახლა ცილს სწამებენ სალომე ზურაბიშვილს, ის ენებს საქართველოსო... ჩვენ საქართველოს ვიცავდით 2008-შიო. რა უნდოდა ქართულ ჯარს ცხინვალში?! ცხინვალიდან უტევდა რუსული 58 არმია? 58 არმია როკის გვირაბიდან უტევდა. 8 მეტრია როკის გვირაბის სიგრძე, ერთი ტანკი ეტევა იქ მარტო. იქ რომ დაგვეყენებინა ჩვენი ძალები და რაჭიდან რომ მოგვევლო და როკის გვირაბი რომ გადაგვეკეტა, ვერ შემოვიდოდნენ საქართველოში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქედან ნიშანს ელოდა რუსეთის ჯარი და მიიღო ეს ნიშანი, როცა 7 აგვისტოს ცეცხლი გაუხსნეს მძინარე ცხინვალს, სადაც მხოლოდ ქართული მოსახლეობა იყო დარჩენილი, იმიტომ რომ წინა სამი დღის განმავლობაში ოსური მოსახლეობა გაიყვანეს იქიდან, რადგან სეპარატისტულ მთავრობას, ჩვენგან განსხვავებით, თავისი ხალხი უყვარს. სააკაშვილს და ბოკერიას თავისი ხალხი სძულს, იმიტომ რომ, ესენი უსამშობლო ხალხია, მათ სამშობლო არ აქვთ. სააკაშვილმა ეს დაადასტურა... ის და ბიძამისი, მეორე უსამშობლო, მეორე დაუძინებელი მტერი საქართველოსი, კგბ-ის გენერალი და ახლა ფსბ-სი, დედას გვაგინებენ. ეს დედაშეგინებული ხალხი მიდის და სააკაშვილის პარტიას აძლევს ხმას.

აი, ასეთ დღეში ჩაგვაგდო ამ შხამკომბინატმა.

მე არ ვიცი, რა ხდება ამ ქვეყანაში, მაგრამ ეს ხომ ყველამ ვიცით, რომ გვაგინებდნენ. თემურ ალასანია მილიონს უხდის და ეძებს სნაიპერს, რომ მოკლას ბიძინა ივანიშვილი. ეს ხომ ჩვენ ყუველამ გავიგეთ და ხომ ვიცით, რომ ნამდვილად ის ლაპარაკობს და თავის დისშვილს ეუბნება, სხვა გამოსავალი არ არის, ბიძინა უნდა მოვკლათ, მილიონს მივცემ სნაიპერსო. მაგრამ ვის კლავს და რატომ კლავს? იმიტომ რომ, ეს ადამიანი კლდესავით დგას მათ გზაზე, მათ მოღალატეობრივ გზაზე. იმიტომ რომ, ეს ადამიანი ცდილობს, რუსული იმპერიალიზმი, რომელიც ბოგინობს, არ შემოვიდეს საქართველოში.

მე მთავრობის მეხოტბე არ ვარ. მთელი ჩემი ცხოვრება მთავრობებთან დაპირისპირებაში ვიყავი და დღესაც გვაქვს უამრავი პრეტენზია, რატომ აღმოვჩნდით ამ მდგომარეობაში, მაგრამ ეს დღევანდელი საქმე არ არის. დღეს ეს ბოროტება უნდა მოვიცილოთ... ჩვენ ამ ბრძოლას მოვიგებთ, მაგრამ ის დიდი ომი, რომელიც ბნელმა ძალებმა გამოგვიცხადეს და ყველამ დავინახეთ, რა დგას ჩვენს წინაშე. ჩვენ ჩავიხედეთ უფსკრულში. იმ უფსკრულში, სადაც ჩვენს შვილებს, ჩვენს ქვეყანას ექაჩებიან, მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ. არც 28-ში, არც 29-ში, არც 89 და არც 2020-ში. არასოდეს არ დავუშვებთ, იმიტომ რომ, ეს ჩვენი ქვეყანაა და ვერ იბოგინებს აქ ბოროტება!

ყველაზე მეტად გული იმ ადამიანებზე მწყდება, რომლებიც შეცდნენ და აჰყვნენ ამ ვითომ ევროპულ საქართველოს. ბოკერია არის იდეოლოგი იმ ფაშიზმის. ის არის იდეოლოგი იმ საშინელების, რაც ქართულ ციხეებში ხდებოდა. ასეთი სირცხვილი, მე არ ვიცი, რომელ ქვეყანას ახსოვს, რაც სააკაშვილის და ბოკერიას მიერ ქართულ ციხეებში ხდებოდა. ეს იყო ჩვენი, კაცების ღირსების აყრა, ყოვლადღიური, ყოვლწუთიერი, გაუგონარი, სამარცხვინო და ყველამ ვნახეთ, სამეგრელოს ტყეებში რასაც ჩადიოდნენ ეს ავაზაკები. ამ ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა გამორიცხულია ამ ქვეყანაში!

დავწვებით ყველანი, ვინც აქ ვართ. მარტო ჩვენ ვეყოფით.

ყველაფერს გავიღებთ იმისთვის, რომ, რა ფასადაც არ უნდა დაგვიჯდეს, სააკაშვილი და მისი ბანდა საქართველოში არ დაბრუნდება არასოდეს. მე ამის პირობას გაძლევთ!

ეს ვითომ „ევროპული საქართველო", სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რომ ამტკიცებს რაღაცებს, ნებისმიერ სასამართლოში, ნებისმიერ ეთერში ან შეკრებაზე დავადასტურებ დოკუმენტურად, რომ ვაშაძე იყო დამსმენი, საბჭოთა კგბ-ს დამასმენი, რომელიც დაყვებოდა ხელისუფლებო კოლექტივებს და მერე წერდა, ვინ რამდენი კოკა-კოლა იყიდა, ვინ „მალბორო", ვინ ჯინსები, ვინ ვის დაელაპარაკა და ისე კარგად ასმენდა ყველას, რომ მერე მიიღეს სს სამინისტროში ისეთ განყოფილებაში, რომელიც ბირთვულ შეიარაღებას ეხებოდა. თქვენ ხომ გესმით. ეს ხდება ანდროპოვის დროს, ეს ხდება ყველაზე რეაქციული საბჭოთა რეჟიმის დროს, ომის მერე. მაშინ დაიჭირეს კოსტავა, ბუკოვსკი და უამრავი ადამიანი და იმ დროს ამ კაცმა კარიერა გაიკეთა დასმენით. ახლა ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო კგბ-ს დამსმენს აირჩევს პრეზიდენტად? მოიყვანენ და გაანადგურებენ საქართველოს! ვერ გაანადგურებენ! ჩვენ ვართ მართლები და გვაქვს კარგად გააზრებული მომავალი. ჩვენი მომავალი არის ევროპა და ამ ევროპის განსახიერება არის სალომე ზურაბიშვილი.

ფრაგმენტი რუსთავის თეატრში წარმოთქმული სიტყვიდან

კახა ძაგანია:

„ნაცმოძრაობა“ რეალური ოპოზიცია კი არა, დამნაშავეთა აგრესიული ჯგუფია, რომელიც ძალაუფლების მიტაცებას ცდილობს

გვესაუბრება „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი კახა ძაგანია.

— ბატონო კახა, როგორ შეაფასებთ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინა ვითარებას, როგორც ნაციონალები ამბობენ, პრინციპულ კონკურენციას ამჩნევთ თუ?

— ჩვენი ამომრჩეველი უკვე გამოცდილია და თუ დააკვირდება, მიხვდება: როცა სუბიექტი ხვდება, რომ არჩევნებს აგებს, ხდება აგრესიული, ტოვებს კონსტიტუციით, საარჩევნო კოდექსით გათვალისწეინებულ ნორმებს, გადის ეთიკის ჩარჩოებიდან, აღარ ითვალისწინებს საარჩევნო პროგრამას და გადადის აგრესიაზე, მუქარაზე, ცილისწამებაზე, პროვოკაციებზე.

ასეთი პერიოდი დაეწყო „ნაცმოძრაობას“. მათი მხარდამჭერი ტელევიზიებიდან ისმის უცენზურო სიტყვები, გინება, ლაფის სროლა, სხვის ლოგინში ჭვრიტინი.

„ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებული არასამთავრობოები, ვითომ ძალიან ობიექტურები რომ არიან, უსირცხვილოდ იტყუებიან. პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებას რომ ვუსმინე, პირადად მე შემრცხვა. ეს არის შეურაცხმყოფელი ცილსიწამება თვით ცილისმწამებლისთვის.

თუ დააკვირდებით „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს, კითხვებს კი არ სვამენ, პირდაპირ ჩხუბობენ — ჟურნალისტი ხდება რესპონდენტის ოპონენტი და კითხვას კი არ უსვამს, ეჩხუბება სტუმარს.

ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ „ნაცმოძრაობა“ აგებს.

ხალხის გონიერების იმედი მაქვს, რომ ყოველივე ეს დასრულდება ხელჩართული ჩხუბის, სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე იმის მიუხედავად, რომ ამის დიდი სურვილი აქვს მიხეილ სააკაშვილს.

მე არ შემიძლია დავადასტურო სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების ჩანაწერები, ავთენტურია თუ არა, მაგრამ ფაქტია, სხვა გზა მას და „ნაცმოძრაობას“ არ დარჩა და უნდათ, რომ საქართველოში მოხდეს არეულობა, სამოქალაქო დაპირისპირება, რომ ხელისუფლებამ თქვას: მე მირჩევნია, წავიდე და მოვიდეს „ნაცმოძრაობა“, ოღონდ სისხლი არ დაიღვაროს. მაგრამ ეს არ გამოუვა „ნაცმოძრაობას“. ხალხი ბრძენია. ჩვენ უკვე გავიარეთ ყოველივე ეს 90-იან წლებში. ეს კინო ნანახი გვაქვს. ჩვენი სიდინჯით, მობილიზებით პასუხს გავცემთ ამ მოძალადეებს!

— ნაცმომხრეები ამბობენ, სააკაშვილი არ ჩამოდის საქართველოში, თუ ჩამოვა, არ ითხოვს არანაირ ძალაუფლებას, ნუ აშინებთ ხალხსო. დავუშვათ მოხდა ისე, რომ გაიმარჯვა გრიგოლ ვაშაძემ, სააკაშვილი ჩამოვა საქართველოში და უწყინრად იჯდება სახლში?

— მადლობა ამ შეკითხვისთვის, რომ მომეცით საშუალება, ფაქტები გავახსენო ჩვენს მოსახლეობას, მაგალითად, როგორ შევიდა უკრაინაში მიშა. ის პოლონეთის საზღვრიდან მიადგა უკრაინას. მაშინ სააკააშვილს უკრაინაში არავითარი სახელისუფლო საყრდენი არ ჰქონია, უკრაინის მოქალაქე იყო მხოლოდ. გაიხსენეთ, როგორ აძვრა სახურავზე და იქიდან როგორ გაჰყვიროდა. არ დაგვავიწყდეს, როგორ მოაწყო ე.წ. „ვარდების რევოლუცია“. მისი ხასიათიდან და იმ პოლიტიკური დივიდენდებიდან გამომდინარე, ვთქვათ, რაღაც სასწაული მოხდა და გაიმარჯვა ვაშაძემ, სააკაშვილი არ მოისვენებს, სანამ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ დანიშნავენ, რადგან ეს იქნება იმის გარანტი, რომ უმრავლესობით მოვლენ ხელისუფლებაში ნაციონალები.

გამორიცხულია, ეს რომ მოხდეს, მაგრამ მე ვარიანტებს განვიხილავ და მოსალოდნელ შედეგებზე ვსაუბრობ.

თუ ასეთი აპოკალიფსური უბედურება დატრიალდა, საქართველო უკან დაიხევს ათეული წლით და დაიწყება ყველაფერი თავიდან, როგორც 2003 წელს — სააკაშვილი და სააკაშვილისტები ჯერ ვითომ კანონმორჩილები იქნებიან, მერე რეიტინგს რომ მოიპოვებენ, გამხეცდებიან, დაიწყებენ ოპონენტების დევნას, რევანშს, რეპრესიებს, ტერორს, მაგალითად, ყველა ნამდვილი ოფიცრისგან და ჯარისკაცისგან გაწმენდენ ჯარს და ისეთ სამხედროებს ჩააყენებენ იქ, სააკაშვილის ყურმოჭრილი მოსამსახურეები რომ იქნებიან და ა. შ. და ა. შ.

— თქვენი აზრით, რატომ ამოირჩიეს ნაცებმა ვაშაძე საპრეზიდენტო კანდიდატად?

— როგორც წესი, პოლიტიკური კონსულტაციები, როგორც ღიად, ასევე ფარულადაც მიმდინარეობს და ფარულად უფრო ინტენსიური შეხვედრებია ხოლმე. სააკაშვილი ფარულ, იატაკქვეშა კონსულტაციებს გადის თავის ბიძასთან თემურ ალასანიასთან, ვაშაძეც თემურ ალასანიას კოლეგაა. როგორც ჩანს, ვაშაძის კანდიდატურა, ერთობლივი მოლაპარაკლების შედეგია.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ „ნაცმოძრაობასთან“ ასოცირებული კანდიდატი და თვით „ნაცმოძრაობა“ არ უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში. არადა, ესენი ოღონდ დაბრუნდნენ და მზად არიან მოაწყონ სისხლისღვრა, სამოქალაქო დაპირისპირება. ასე არ შევარდნენ კოდორში, ცხინვალში და ა. შ. ესენი ავანტურისტები არიან.

— თქვენმა პარტიამ განაცხადა, რომ მხარს უჭერთ სახელისუფლო კანდიდატს, არადა, ოპოზიციური პარტია ხართ, რატომ ემხრობით სალომე ზურაბიშვილს?

— ჩვენთან ერთად სახელისუფლო კანდიდატის მხარდაჭერა გამოაცხადა „პროგრესულ-დემოკრატიულმა“ პარტიამ.

„პატრიოტთა ალიანსიც“ ოპოზიციური პარტიაა და მხარს სალომე ზურაბიშვილს უჭერს.

დიახ, ცოტა არაორდინარული ვითარებაა — ოპოზიცია მხარს უჭერს სახელისუფლო კანდიდატს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დღეს ხელისუფლებას ოპონენტად რეალური ოპოზიცია კი არ ჰყავს, არამედ დამნაშავეთა ჯგუფი. ვის დავუჭიროთ მხარი ხელისუფლებას თუ დამნაშავეთა ჯგუფს? პასუხი ცალსახაა. ჩვენ არ გვინდა კრიმინალური ჯგუფის მიერ შემოთავაზებული კანდიდატი ქვეყნის პრეზიდენტად. ეს ძალიან მარტივი და გასაგები არჩევანია.

ჩემი საბოლოო პროგნოზი ასეთია: სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს!

სააკაშვილი თავიდან შეეცდება სიტუაციის არევას, მაგრამ ჩვენი ბრძენი ხალხი დაასრულებს მათ ბოგინს საქართველოში!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

არა სააკაშვილს! არა ვაშაძეს! არა ბოკერიას! არა „ნაცმოძრაობას“!

ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ აჩვენა ასე ვთქვათ, მასტერკლასი, 23 და 25 ნოემბერს განაჩენი გამოუტანა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის სატელიტებს, თან ისეთი განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამომრჩეველი საბოლოო სიტყვას 28 ნოემბერს, საარჩევნო ყუთებთან იტყვის და საბოლოოდ დაასამარებს იმ ბოროტებას, რასაც ნაცრეჟიმი ჰქვია.

23 ნოემბერი, ბათუმი, ერას მოედანი

მოგეხსენებათ, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ორგანიზებით პირველი საპროტესტო აქცია მოწოდებით, „არა – სააკაშვილს! არა – ბოკერიას! არა – ნაციონალურ მოძრაობას! არა – ნაციონალური მოძრაობის ნამსხვრევებს!“ 23 ნოემბერს ბათუმში, ერას მოედანზე გაიმართა. აქციის მონაწილეთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მმართველმა პარტიამ ბევრი შეცდომა დაუშვა, საქართველოს მოსახლეობამ არჩევნების მეორე ტურში „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს უნდა მისცეს ხმა, რათა არ მოხდეს ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის დაბრუნება. თავსხმა წვიმაში აქციაზე 14.000-ზე მეტი ადამიანი გამოვიდა ნაცჯალათებისთვის უარის სათქმელად. ასე რომ, კოლექტიური ნაცების „ღაღადი“, თითქოს მთელი აჭარა მათი მხარდამჭერია, მორიგი ბლეფი გამოდგა.

დავით თარხან-მოურავი: „გასაგებია, რომ დღესვე არ მოხდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ჯერ უნდა შევრიგდეთ ქართველები, აფხაზები და ოსები, ამის შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყოთ საქართველოს ერთად შენება. ამ შეხვედრასთან დაკავშირებით, „რუსთავი-2“-ის ეთერში მოვისმინეთ მორიგი შავი პიარი, თურმე ადა მარშანია და გიორგი ლომია საიდუმლოდ წასულან მოსკოვში, საიდუმლოდ როგორ წავიდნენ? მათ ბილეთები აიღეს და გადაფრინდნენ. მერე თქვეს საიდუმლო შეხვედრა იყოო, რანაირად იყო საიდუმლო, არც ლომიას ეკეთა ნიღაბი და არც მარშანია იყო ჩადრში. თურმე „დიდი ცოდვა“ ჩაგვიდენია, თანასწორ შეხვედრაში მიგვიღია მონაწილეობა, ან ეს რას ნიშნავს, აფხაზები და ოსები მუხლებზე უნდა დამდგარიყვნენ თუ მაგიდის ქვეშ უნდა შემძვრალიყვნენ? ამდენი წლის შემდეგ, ერთმანეთს შეხვდნენ ქართველები, აფხაზები და ოსები, მძიმე შეხვედრა იყო, მაგრამ შედეგიანი, აფხაზებმა 25 წლის შემდეგ პირველად დაპატიჟეს ქართველები სოხუმში. იმის ნაცვლად რომ გაგვიხარდეს, იწყება გაუთავებელი შავი პიარი იმ ხალხისგან, ვინც სამარცხვინოდ ჩააბარა კოდორის ხეობა, სადაც საომარი მოქმედებებიც კი არ ყოფილა. ჯერ ის ხალხი გამოყარეს ხეობიდან, ვინც იმდენი წელი იცავდა და მერე გაყიდეს. ვინ მოგვიწოდებს 20 წელია, რომ არავის ველაპარაკოთ, იზოლაციაში ვიყოთ, სააკაშვილი, ბოკერია და მათი გუნდი ხომ. ვხვდებით აფხაზებსა და ოსებს, რომლებიც ამბობენ შევრიგდეთო და თურმე ეს ცუდია. დავიღალეთ უკვე, ათი წელი ნაციონალებს ვებრძოდით, ახლა კიდევ ექვსი წელი სამწუხაროდ მარტო სააკაშვილსა და ბოკერიას კი არა, „ქართული ოცნების“ ნახევარსაც ვებრძვით, ეს ხალხი უნდა მოცილდეს მმართველ პარტიას, უნდა გაიწმინდოს „ქართული ოცნების“ რიგები, რადგან ისინიც სააკაშვილები არიან. ესენი აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, ბოლოს და ბოლოს უნდა აღდგეს სამართლიანობა, რომ გავთავისუფლდეთ ამ უბედურებისგან, ამ გაუთავებელი შავი პიარისგან, სიცრუისგან და დავიწყოთ ნორმალური ქვეყნის აშენება. კოკისპირულ წვიმაში ამდენი ხალხი რომ შევიკრიბეთ, ესეც იმის მაჩვენებელია, რომ დავამარცხებთ ესენი. ზოგი მმართველ პარტიაზე განაწყენებული, ზოგს სალომე ზურაბიშვილი არ მოწონს, მაგრამ ახლა არ არის ამის დრო, აუცილებელია არჩევნებზე მისვლა და სალომე ზურაბიშვილისთვის მხარდაჭერა, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია ალბათობა სისხლიანი რეჟიმი მობრუნდეს“.

მერაბ ჭიქაშვილი: „2005 წლიდან ვიცნობ ამ ხალხს, რომელთა ზურგზეც გადაიარა ნაცრეჟიმის ბოროტებამ და ბოლომდე იბრძოდნენ თავიანთი სიმართლისთვის. ნაციონალებს დღესაც იგივეს გაკეთება უნდათ, მაგრამ არ ეღირსებათ. მთელმა აჭარამ 2005 წლიდან იცის, რომ სააკაშვილი, ბოკერია და მათი გუნდი დამნაშავეები არიან, იმ პერიოდიდან, როცა აჭარის მცხოვრებთ მიწების წართმევა დაუწყეს, სხვა და სხვა აბსურდული მიზეზით, შვილები დაუჭირეს, ოჯახის წევრი გაუნადგურეს. მეომარი ვაჟკაცი როინ შავაძე მოღალატედ გამოაცხადეს და დახვრიტეს. ამიტომაც შევიკრიბეთ, რომ კიდევ ერთხელ ვუთხრათ ნაცმოძრაობას არა. რაც ყველაზე მთავარია, „ქართულ ოცნებას“ გვინდა ვუთხრათ, იმ ხალხს რომელთან ერთადაც მართლა ვიბრძოდით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ხომ არაფერი დაგავიწყდათ? აქ მოსულ ხალხს არ ჭირდება იმის ახსნა, რომ სააკაშვილი დამნაშავეა. აქ უამრავი ადამიანია, რომლებმაც ვერ დაიბრუნა მიწა, რადგან გაყიდა სააკაშვილმა, თურქებს და ვიღაც გადამთიელებს მიყიდა. ბრძოლა ბოლომდეა მისაყვანი, თითქოს მივიყვანეთ, მაგრამ თავიდან მოგვიწია დაწყება. „ქართულმა ოცნებამ“ თურმე ახლა გაიგო, რომ ნაცმოძრაობა ბოროტების მანქანაა, ხელისუფლება არ არის მართალი ხალხთან, რადგან ბრძოლაში მიატოვა და დღეს დახმარებას ითხოვს. რად გვინდა ამის თხოვნა, ჩვენ ისედაც კარგად ვიცით რასაც წარმოადგენს ნაცმოძრაობა, ყველას შეგვეხო მათი სისასტიკე. ჩემთვის ისევ 2012 წელია, ზუსტად ვიცი, რომ იგივეა ყველასთვის, სააკაშვილი არ უნდა მობრუნდეს ხელისუფლებაში, ის ადამიანი უნდა მოვიდეს, რომელიც ნამდვილად ხალხის იქნება. არა მიშას, არა გრიშას, არა იმ ნაცმოძრაობას, რომელმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანა ხალხი“.

აჭარაში რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა ორგანიზაცია სახელწოდებით „მუსლიმი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობისთვის“, რომლის ხელმძღვანელიც დავით თარხან-მოურავია. ერას მოედანზე შეკრებილებს ამ ორგანიზაციის წევრმა, აჭარაში ღირსეულ და პატივსაცემ პიროვნებად აღიარებულმა **იასონ გელაძემაც** მიმართა: „მე მანმადე არცერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, რამდენიმე თვის წინ მუსლიმი და ქრისტიანი ძმების ერთიანობის წევრი გავხდი, რომელიც ქვეყნის გადარჩენისთვის იბრძოლებს, ღმერთმა სიცოცხლე მისცეს იმ ქართველს, ვინც ერთ გოჯ ქართულ მიწასაც კი არ დათმობს, არც ეშინია და არც სცხვენია, გამარჯვებისთვის იბრძვისო. იასონ გელაძემ თავისი მიმართვა შთამბეჭდავი სიტყვებით დაასრულა, „საყვარელო ხალხო, სირცხვილი იქნება ამ თურქებმა, ამ სელჩუკებმა მიიტაცონ ჩვენი ქვეყნის რომელიმე ნაწილი. ისინი ხომ ჩვენი დაუძინებელი მტრები იყვნენ, ჩვენი მტერი არასდროს გახდება ჩვენი მოყვარე, ამათ უნდა ვებრძოლოთ ყველამ. არავის არ უნდა რომ წაბილწონ ჩვენი წინაპრები, ქართველების დიდებული ვაჟკაცი წინაპრები, რომლებმაც ეს მიწა გადაგვირჩინეს და დაგვიტოვეს. ჩვენ თუ ვერ ვუპატრონებთ, ვეღარ ვიქნებით ქართველები. ჩვენმა მტრებმა ქარხანაც გაგვიყიდეს, ფაბრიკაც, მიწაც და ქართველები მათხოვრებად გადაგვაქციეს. დრონი მეფობენ, შემობრუნდება დრო და გადარჩება ქართველი ერი. 25 ნოემბერს, თბილისში იქნება დიდი შეკრება, იმ დღესასწაულის დაწყება, რომელიც საქართველოს გადაარჩენს“.

25 ნოემბერი, თბილისი, თავისუფლების მოედანი

25 ნოემბერს, თავისუფლების მოედანზე ქართველთა ერთიანობა მართლაც შედგა. ამ გრანდიოზულ აქციას ათეულ ათასობით ადამიანი დაესწრო, ბევრმა ვერც კი შეძლო აქციის ასე ვთქვათ, ეპიცენტრამდე მიღწევა, რადგან ხალხით იყო გადაჭედილი თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიებიც. ჩემმა ახლობელმა, რომელიც ნაციონალებს ლამის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ებრძოდა, მითხრა, ეს ვინმეს მხარდამჭერი აქცია არ ყოფილა, ასია ათასამდე

არა კოჰაბიტაციას! არა სადისტებს! არა მკვლელებს! არა მანიაკებს!

ადამიანი იმისთვის შევიკრიბეთ, რომ საბოლოოდ ვუთხრათ არა ნაციონალებს და მათ „ასკოლკებს“, როგორ შეიძლება ეს სისხლიანი რეჟიმი უკან მობრუნდეს. ნაცხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ ყველა აქციის მონაწილე ვარ, მაგრამ არასდროს მინახავს ამდენი სერიოზულად მოტივირებული ხალხი მოსულიყო. მოხუცები და ავადმყოფი ადამიანები, რომლებსაც გადაადგილება უჭირდათ, ისინიც კი გამოვიდნენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გვეთქვა უარი კოლექტიური ნაცებისა და სამშობლოს სხვა მოღალატეებისთვისო. აქედან გამომდინარე, ტყუილად არ უთქვამს დავით თარხან-მოურავს, რომ გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ სააკაშვილსა და მის „ფავორიტ“ ვაშაძეს. დავით თარხან-მოურავმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს მოსახლეობას, რომ ხოლოდ ერთი არჩევანი გვაქვს, აუცილებლად უნდა მივიდეთ არჩევნებზე და მხარი დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს, რაღაც მცირე სხვაობით კი არა, 80%-ით უნდა მოვუგოთ ნაცებსო.

ირმა ინაშვილი: ჩვენ ერთად ვართ და დღეს ყველა საქართველოს ვიცავთ. ნაცმოძრაობას არას რომ ვეუბნებით, ამით არას ვეუბნებით პატიმრების წამებას, ახალგაზრდების ქუჩაში მოკვლას, ქონების წართმევას, ჩვენი ქვეყნის მიწების ჩაბარებას. საქართველო ქართველი ხალხისაა, ბოკერიები და სააკაშვილები არ გამოსწორდებიან. არ დავუთმობთ საქართველოს ამ მანიაკებს. ამიტომ უნდა გავერთიანდეთ, უნდა მოვიკრიბოთ ძალები, მივიდეთ არჩევნებზე და მხარი დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს. იცოდეს ქალბატონმა სალომემ, რომ მას ირჩევს არა „ქართული ოცნება“ არამედ უკვე ქართველი ხალხი და მათ წინაშეა პასუხისმგებელი. ქართველ ხალხს არავინ უნდა უღალატოს. კოჰაბიტაცია იყო ღალატი, ნაციონალების, ამ კრიმინალების მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოცხადება იყო ღალატი. ჩვენ ვართ მთავარი ოპოზიციური ძალა ქართველ ხალხთან ერთად. დღეს ყველა ჩვენი შვილების მომავალს ვიცავთ, ამ მანიაკებისთვის დასათმობი საქართველო ჩვენ არ გვაქვს. ამიტომ არა ნაცმოძრაობას, არა წარსულში დაბრუნებას, წინ მომავლისკენ. ჩვენი ქვეყანა უნდა ავაშენოთ და გავაერთიანოთ, აფხაზებს, ოსებს, ყველას უნდა ველაპარაკოთ, ყველგან უნდა ჩავიდეთ, მოსკოვი იქნება, ბრიუსელი თუ სტრასბურგი. სოხუმშიც ჩავალ, რომ გაერთიანდეს ჩვენი პატარა ქვეყანა. რომ გვიკიჟინებენ, ნუღარ იხსენებთ სააკაშვილის ცხრაწლიან რეჟიმსო, სულხან მოლაშვილის მამას, თამაზ მოლაშვილს ურჩიეთ, როგორ არ გაიხსენოს ის სისხლიანი წელი“.

თამაზ მოლაშვილი: „სულხანი დააკავეს, რამდენიმე დღეში საქართველოს ღირსეულმა შვილებმა: მუსიკოსებმა, პოეტებმა, სპორტსმენებმა, მსახიობებმა, 150-მა ადამიანმა წერილით მიმართეს მიხეილ სააკაშვილს, რომ თავდებში უდგებოდნენ სულხანს. სააკაშვილმა ამ საპატივცემულო პიროვნებებს ჩარეცხილები უწოდა. მაშინაც ამდენი ხალხი რომ გამოსულიყო, დღეს რომ შეიკრიბა, ის უბედურებები აღარ მოხდებოდა. მაშინ ხალხი სულხან მოლაშვილის დასაცავად კი არა, იმ 150 ადამიანის პატივსაცემად უნდა გამოსულიყო. ვაშაძე რომ აცხადებს 2.000 კაცი გამოვყავით, არ გააყალბონ არჩევნებიო, იმ უბედურების მომსწრეებს გაყალბება რად გვინდა, ვისაც უნდა გაყალბება კარგად ვიცით. ერთ-ერთ უბანზე კომისიის წევრი ვარ, აბა ვინმემ გაბედოს ორივე მხრიდან არჩევნების გაყალბება. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ქართველ ხალხს, ამ გაუბედურებულ ხალხს შვილმკვდარ დედას, მამას დას თუ ძმას არჩევნები გაუყალბონ. ქართველი ხალხი ბრმა და ყრუ არ არის, არჩევანს თვითონ გააკეთებს, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა იზეიმოს სამართალმა. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, მე რაღა დამრჩენია ამ ქვეყანაზე, მაგრამ სულხანთან რომ წავალ, ამბავი მივუტანო, რომ საქართველოში სამართალმა იზეიმა“.

ერეკლე საღლიანი (პოეტი): ძვირფასო თანამემამულენო! გვახსოვს ჩვენ სამი ათეული წლის წინ, როცა დიდი ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა გამოვიდოდა და სანუკვარ სიტყვას წამოიძახებდა, მამულიშვილნო! მოენატრა ჩვენს სულს ეს, მოენატრა დღევანდელ მდგომარეობას ეს. მამულიშვილნო! აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას, აფერუმ თქვენს რწმენას ამდენი ტყუილის, აი, ამდენი მართლა კედელზე ცერცვის შეყრის მერე რწმენა რომ არ დაგიკარგავთ და რომ მობრძანდით. მობრძანდით იმიტომ, რომ შეცვალოთ უკეთესობისკენ ეს ქვეყანა. არადა რა არის ამისთვის საჭირო, მცირედი რამ – ქართულ პოლიტიკას გადაესხას ახალი სისხლი, თორემ დამძორდა უკვე სისხლი ძარღვებში, ვეღარ მოძრაობს. აი, ეს ახალი სისხლის გადასხმა ნიშნავს ხალხის უფლებების დაცვას. მე მგონი, დიდი ხანია ასე ერთი გრძნობით შეკრული ხალხი მე არ მინახავს, მადლობა ამისთვის თქვენ. დაგვეკისრა დიდი მისია, მაშ ვიყოთ ამ მისიის ღირსი, შევძლოთ ის, რომ შემდგომ მომავალმა თაობამ სთქვას, აი, ამ ადამიანებმა, წმინდა გიორგის ძეგლთან თავმოყრილებმა შეცვალეს საქართველოს მდგომარეობა, შეცვალეს საქართველოს ბედი. ყველაზე სავალალო რაც ჩვენ გვჭირს არის ის, რომ მთავრობა და ხალხი ერთ ენაზე ალაპარაკდეს. აქ ჩვენ ამ ენის გამომუშავებისთვის ვართ მოსული. თითოეული ადამიანის სატკივარი უნდა განიჭვრიტებოდეს, როგორც ეროვნული სატკივარი, ხოლო ერის სატკივარი, ყოველი ადამიანის სატკივარი უნდა იყოს. მე მხნედ ვარ, სავსე ვარ, იმედიანი ვარ და ეს არის თქვენი დამსახურება. გიყურებთ, მიხარია და ნამდვილად მადლობას ვწირავ უფალს ამ ყველაფრისთვის. მოხდება ისე, რომ ჩვენ გავერთიანდებით, იმიტომ, რომ არც აფხაზს, არც ოსს ჩვენს იქით გზა არ აქვს, არც ჩვენ გვაქვს გზა მათ გარეშე. მაშ ვაშენოთ ერთიანი და ბედნიერი საქართველო, დალოცვილები იყავით“.

კობა დავითაშვილი: „ძალიან მიხარია, ჯალათებისა და მკვლელების წინააღმდეგ შეკრებილ ამდენ ხალხს რომ ვხედავ. ძალიან მიხარია, მაგრამ იმავდროულად ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ჯალათები და მკვლელები დღემდე დაუსჯელები დადიან. რა არის ამის მიზეზი, რატომ არ მიეცა სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება იმ 300.000 ხელმოწერას, რომელიც პატრიოტთა ალიანსმა შეაგროვა? ხელისუფლება ვერ ბედავს, რომ ნაციონალურ მოძრაობას, როგორც დანაშაულებრივ რეჟიმს ის შეფასება მისცეს. ამის მიზეზი ისაა, რომ სამწუხაროდ, დღეს საქართველო არ არის დამოუკიდებელი. ნაციონალურ მოძრაობას მფარველები ყავს ქვეყნის გარეთ, ევროპაშიც, ამერიკაშიც და ამ მფარველებს არ აწყობთ, რომ მათი დანაშაული გამომჟღავნდეს, ამ მფარველების დანაშაული, იმიტომ, რომ დანაშაულის დაფარვა, ასევე დანაშაულია. ისინი საკუთარ ტყავზე ზრუნავენ და ხელს აფარებენ მიხეილ სააკაშვილს, გიგა ბოკერიას, ამ დანაშაულებრივი რეჟიმის ყველა წევრს, რადგან იციან მათი გამომზეურება და დასჯა, მათი მფარველების მხილება იქნება.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, დავდექით ერთად რომ დავიძახოთ ის ძველი ლოზუნგი, რომელსაც ეროვნული მოძრაობა მიმართავდა. ვერ შედგება ჯალათების დასჯა, ვერ შედგება რეჟიმის გასამართლება, თუ საქართველო არ იქნება დამოუკიდებელი, არ იქნება დამოუკიდებელი ქვეყნის შიგნით, სხვათა უფლებების დამცველებისგან. ის დამოუკიდებელი ვერ იქნება თავის გადაწყვეტილებებში, თუ ერთად არ დავდგებით და არ მოვითხოვთ, არა ნაცებს, არა ჯალათებს! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ცრუ განგაში ანუ აქა ამბავი შესახებ იმისა, თუ როგორ ჩაისვარეს ასოებმა

ყალბი დოკუმენტების ბეჭდვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის გიორგი ვაშაძის ხელშეუხებლობით „ნაცები“ თვითონ ხომ არ აპირებენ ყალბი პირადობის ბეწდვას?

არასამთავრობოებმა ჩაისვარეს!

ამ დღეებში ძალიან ცუდ დღეში ჩაიგდეს თავი ჩვენმა ყოვლისმცოდნე „ენჯიკოებმა“ (არასამთავრობოებმა): „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების„ აღმასრულებელმა დირექტორმა მიხეილ ბენიძემ, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ირმა პავლიაშვილმა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ამ სამმა „ჭკვიანმა“ 20 ნოემბერს გამართა საგანგებო ბრიფინგი და განაცხადა – არიქა, ხალხო, სანდო წყარომ გვაცნობა, წვეთი არ გაუვა, ბიძინა ივანიშვილი არჩევნების მეორე ტურისთვის ყალბი პასპორტების დაბეჭდვას აპირებს, თუ ძირშივე არ არიკვეთა დანაშაული, საქართველოში კატასტროფა მოხდებაო. იმავე დღეს გამოვიდა პასპორტების ბეჭდვის „უმფროსი“ და თქვა – ეს სიცრუეა, რა პასპორტები, რომელი იხვის ტოლმა და რაის ქათმის ბარკალიო? თუ რამე იცით, პროკურატურას მიმართეთო. არა, ამათ პროკურატურას არ მიმართეს, ცრუ ინფორმაცია გაისროლეს და ეგონათ, ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. ალბათ, ხვდებით, შემდგომში ამას მოჰყვებოდა მოსყიდულ ტელევიზიებში გარჩევები, იქნებოდა გამიშვი-დამიჭი, ჩხუბი, დავიდარაბა და ნერვების წყვეტა. გამოვიდოდნენ მელიები, ტურიები, ქათამიები, ტრაწიაშვილები, წარაკუაშვილები, აიკლებდნენ მთელ ქვეყანას და საბოლოო ჯამში მაინც ხელისუფლება გამტყუნდებოდა. საბედნიეროდ, ამათ, ამ ყოვლისმცოდნეებს მეორე დღესვე დაუძახეს მთავარ პროკურატურაში და ჰკითხეს: აბა, ერთი როგორ იყო, რა ყალბი პასპორტები, რომელი თათბირიო? ახლა მოყევით, დამნაშავეები უნდა დავიჭიროთო. ამათ ქოში უკულმა ყარეს, ჩვენ წყარომ რაც გვითხრა, ის გავახმოვანეთო, უბრალოდ ვივარაუდეთო, მტკიცებულებები და ეგეთი რაღაცები არ გაგვაჩნიაო. ბენიძემ კიდევ უფრო დააზუსტა, ჩვენი წყარო იმ თათბირს არ ესწრებოდა, იმასაც მოუყვნენო... არ ვიცი, შეიძლება სიზმარში ნახაო, ან გამოცხადება ჰქონდაო.

პროკურატურაში დაბარების შემდეგ მთლად ჩაისვარეს არასამთავრობოებმა, ვინმე ლევან ნატროშვილი „გამჭვირვალობიდან“ იძახის: ჩვენ არ გვითქვამს, რომ სოსო გიორგაძემ თათბირი ჩაატარა, არ მაქვს ინფორმაცია, ვინ ჩაატარა და ვინ ესწრებოდა თათბირსო. არა, გესმით, რა დონეზე მიდის ამათი ბაასი? სერვისების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა სოსო გიორგაძემ თქვა, მაგ დროს, რა დროსაც ეგენი ასახელებენ, ინდონეზიაში ვიყავი მივლინებით და ძალიანაც რომ მდომებოდა, თათბირს ვერ ჩავატარებდიო. ბოლოს არასამთავრობოებმა დაიწყეს მტკიცება, ის, ვინც ამბავი მოგვიტანა, თვითონ თათბირს არ დასწრებია, მან ინფორმაცია მესამე პირისგან მიიღოო. დარწმუნებული ვარ, იმ მესამე პირმა ინფორმაცია მეხუთე პირისგან მიიღო, რომელმაც თავის მხრივ თეფში დაატრიალა, თავისი ბებიის სული გამოიძახა და იმას გამოსტაცა, ანუ ძალით ათქმევინა. სხვათა შორის, მე სხვა ვერსიაც მაქვს: წყარო, რომელიც თათბირს არ ესწრებოდა, მაგრამ თათბირიდან ენჯიკოებს ამბავი გამოუტანა, ივანიშვილი ყალბი პასპორტების დაბეჭდვას აპირებსო, იმდენად განიერი აღმოჩნდა, რომ სათათბირო დარბაზის კარში ვერ შეეტია. ვერანაირ კარში რომ ვერ ეტევა, მასეთი მე ერთი ქალი ვიცი საქართველოში, მაგრამ ამჯერად არ დავასახელებ, ისედაც მიხვდებით. მაგ ქალმა ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში (წამყვანი რომ კვნესის და ზაფხულში ცივი წყლით სავსე ტაშტში აქვს ხოლმე ფეხები წაყოფილი, ხოლო ზამთარში – ცხელი წყლით სავსე ტაშტში) ძალიან „მკუხედ“ თქვა: რას ჰქვია, თათბირი არ ყოფილა და რას ჰქვია, გიორგაძეს ყალბი პირადობების დაბეჭდვის ბრძანება არ გაუცია, კვირა დღე იყო, ნამდვილად ვიცი, ჩანაწერები ამოიღეთ და ნახავთ, რომ ცამდე მართალი ვარო!

ესე იგი, ახლა ნახეთ... სერვისების უფროსმა იცის, რომ „ვიდეოთვალები“ ჩართულია, ყველაფერი იწერება, იწვევს გაფართოებულ თათბირს და აცხადებს – ამხანაგებო, არჩევნებამდე ყალბი პირადობები უნდა ამოვბეჭდოთ, აბა, თქვენ იცით, მოემზადეთ, ყოველი შემთხვევისთვის ჩაიბანეთო. ბატონებო და ქალბატონებო, დავუშვათ, „ქართულმა ოცნებამ“ მართლაც გადაწყვიტა, მსგავსი მაქინაცია ჩაეტარებინა, განა ასეთ საქმეებზე მოლაპარაკებები და ბრძანებების გაცემა ასეთ სიტუაციაში ხდება? ეს ისეთი სარისკო საქმეა, ჰა, ჰა, ორმა-სამმა კაცმა უნდა იცოდეს და ისიც გასაიდუმლოებულ ვითარებაში. მე პირადად, იმ ადამიანებისგან, რომლებიც თავის დროზე მართლა ბეჭდავდნენ ყალბ პირადობებს და არჩევნების მერე ტონობით გლდანის ნაგავსაყრელზე ყრიდნენ, ასეთ ბრალდებებს ვერ დავიჯერებ. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, არავის მოყოლილს არ გახვევთ თავზე ჩვენი „ენჯიკოების“ მსგავსად, როგორ იყო 2012 წლამდე მთელი გლდანი ყალბი პირადობებით და ყალბი ბიულეტენებით. საინტერესოა, სად იყვნენ მაშინ გიგაურები და მისი მსგავსი გრანტიჭამიები? სად და... სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში იყვნენ „განთესილნი“ სხვადასხვა თანამდებობებზე და პრემიებსაც დიდი სიამოვნებით იწერდნენ. 2012 წლის შემდეგ „გადათესლდნენ“ ესენი ე.წ. არასამთავრობოებში და დაიწყეს ავ-კარგის გარჩევა. ამათი გარჩეული სამართლიანობა არ გაიშვას მიხო სააკაშვილის უნიტაზის იქით! მიხოს ზეობის ხანაში გიგაური სასაზღვრო ძალებში იყო მოკალათებული, ხოლო მისი ძმა ქართულ ჯარს ამარაგებდა უნიფორმებით. ჰკითხონ ერთი გამომძიებლებმა, როგორ იგებდა ეკუნას ძმა ძვირადღირებულ ტენდერებს. ცხოვრობდნენ, ხალხო, ესენი ცხოვრობდნენ იმ დროსაც და ახლა ამ დროსაც მიჰყავთ „პარადი“. არასამთავრობოები კი ჰქვიათ, მაგრამ სინამდვილეში „ნაციონალების“ თავგადაკლული „პადელნიკები“ არიან, საკაშვილის დაკრულზე ცეკვავენ. ჩვენ ვამბობთ და ყველა დეტალი ამას ამტკიცებს, რომ ყალბი პასპორტების თემა არის სპეციალურად შემოგდებული... იმასაც ვამბობთ, რომ რევოლუციური გეგმის ეს კონკრეტული ნაწილი ჩაუვარდათ, მაგრამ რაღაც დოზით მიზანი მაინც მიღწეულია – საზოგადოებაში მაინც გაჩნდა ეჭვი, გლეხკაცს ამათი განცხადებები შეუვარდა ყურში და მერე აღარ იცის, თვალი ვერ მიადევნა, როგორ განვითარდა მოვლენები, ანუ დარჩა „ვააა, კაცო“-ს პოზაში. უფრო გათვითცნობიერებული საზოგადოების თვალში კი, უნდა ვაღიაროთ, ე.წ. არასამთავრობოებმა ბოლომდე ჩაისვარეს და ნდობაც დაკარგეს. რა ნდობა მაგათ ჰქონდათ, მაგრამ საკუთარი საქმე თავისიანებშიც წაახდინეს. მე ე.წ. არასამთავრობოები იმ შარვალ-ჩახდილებს მაგონებს, საოკუპაციო ხაზთან რომ მივიდნენ, სიმარლის მიხედვით ჩამწკრივდნენ და რუსებს დუნდულები მიუშვირეს. კი, იმათ რუსებს მიუშვირეს, ამათ – ქართულ საზოგადოებას.

როგორ ფიქრობთ, ამ ყოვლისმცოდნეებმა არ იცოდნენ, რომ ყურმოკრული ჭორის საფუძველზე ამხელა ამბავი არ უნდა აეტეხათ? ალბათ იცოდნენ, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე გითხარით, ის ვეღარ გათვალეს, პროკურატურაში ასე მალე თუ გამოიძახებდნენ. ერთი ხანობა თითქოს დაიბნენ, მაგრამ როგორც წესი, კატებივით ზურგზე არ დაეცნენ – ისაო, სანამ გამოძიება არ დამთავრებულა, იუსტიციის მინისტრი რაზე აცხადებს, რომ ეს ყველაფერი სიცრუეაო? თეა წულუკიანი კარგად იცნობს თქვენს მოდგმას და იმიტომ! ამათი ტრაფარეტული ლექსიკა და გამოხტომები არ გაიშვა თემურ ალასანიას უნიტაზს იქით – შეკითხვები გაჩნდა და გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს. რა უბედურებაა, რავა სულ ამ უდღეურებს და ფიზიკურად დაუმთავრებლებს აქვთ კითხვები, რავა ყველა ამათ შეკითხვებს უნდა პასუხობდეს და თავს იმართლებდეს?!

იმედია, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამათი საკითხიც დადგება დღის წესრიგში – უნდა გაირკვას, ვინ არიან სინამდვილეში, რას წარმოადგენენ, საიდან ფინანსდებიან და ვის ინტერესებს ემსახურებიან. ჩვენ კი ვიცით, მაგრამ როგორც თავად იტყვიან ხოლმე, შეკითხვებს პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს. აი, ეგრე, ჩვენც გვაქვს შეკითხვები, ხალხო, მარტო ამათ კი არა!!!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

კოკი გუგუშვილი:

ამ არჩევნებში ჩემი პრინციპული არჩევანი იმ საზოგადოებას ეკუთვნის, რომელიც დასავლეთისკენ იყურება და არა ჩრდილოეთისკენ!

მოგმართავთ, როგორც თეიმურაზისა და ქეთევან გუგუშვილი გორჯესტანების მამა. უფროს თაობებს ალბათ ახსოვთ ვინ ვარ და რას წარმოვადგენდი საქართველოში სამი ათეული წლის წინ. ახალ თაობას კი ჩემს ამბავს მოვუყვები, რომ სოციალურ მედიაში მძვინვარე დეზინფორმაციით გაჯერებულ ჭუჭყში არ ჩაიძიროს.

მამაჩემი, ევსევი-ძუკუ გუგუშვილმა საქართველო 1913 წელს დატოვა და ირანში ცნობილ ქართველ ინვესტორთან, აკაკი ხოშტარიასთან სამუშაოდ წავიდა. ბატონი აკაკი, რომელიც იმ ხანად ბაბუაჩემის, დიმიტრი გუგუშვილის მეგობარი იყო, ეძებდა ტექნიკური კვალიფიკაციის მქონე ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც მასთან ერთად ირანში მნიშვნელოვან საინვესტიციო პროექტებზე იმუშავებდნენ. ძუკუ სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1921 წელს წითელმა არმიამ საქართველო დაიპყრო, იძულებული შეიქნა ირანში პოლიტიკური თავშესაფარი მოეთხოვა. ირანის მოქალაქეობის ასაღებად მამაჩემს გვარის შეცვლა მოსთხოვეს. პატრიოტული მოსაზრებიდან გამომდინარე, მან გვარად „გორჯესტანი“ აირჩია, რაც სპარსულად ნიშნავს „წარმოშობით საქართველოდან.“ მამაჩემი 1983 წელს ამერიკაში გარდაიცვალა, მაგრამ ვამაყობ, რომ შევძელი 1978 წელს მისი საქართველოში ჩამოყვანა და 65-წლიანი იძულებითი დევნილობის შემდეგი საკუთარი სამშობლოს, საქართველოს კიდევ ერთხელ ჩვენება.

მე და ჩემი შვილების დედა სალომე თეიმურაზსა და ქეთევანს ვზრდიდით პატრიოტ ქართველებად, რომლებიც იამაყებდნენ თავიანთი ტრადიციებით და გააგრძელებდნენ რაინდობის, ღირსებისა და თავდადების იმ ძველი ქართული ღირებულებების ერთგულებას, რომლებზეც შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი წერდნენ. შავბნელმა წრეებმა გაბედეს და ეჭვის ქვეშ დააყვენეს ჩემი შვილების წარმომავლობა და დაამახინჯეს ის ყველაფერი, რასაც მათი მამა სამ ათეულ წელზე მეტ ხანს ემსახურა. ისინი, ვინც ამ ბოროტ დეზინფორმაციას ავრცელებს არაკაცები არიან, კაცობრიობის ნაგავსაყრელზე გადასაგდები.

საქართველოს მიმართ სიყვარულმა 1980 წლების ეროვნულ–გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართვა გადამაწყვეტინა. ამ მოძრაობის ორი ბუმბერაზი – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ორივე ჩემი უძვირფასესი მეგობარი იყო. იმ დღეს, როდესაც 1990 წელს მრგვალი მაგიდის გამარჯვების შესახებ შევიტყვეთ, მე ზვიადის გვერდზე ვიდექი. კოალიცია „მრგვალი მაგიდის“ ეკონომიკური რეფორმების პროგრამა სწორედ ჩემი დაწერილია. ვემზადებოდი ზვიადის მთავრობის წევრობისთვის, რომ მას პროგრამის განხორციელებაში დავხმარებოდი, მაგრამ ნომენკლატურამ წაგვართვა ჩვენი ოცნებების განხორციელების შესაძლებლობა. პუტჩის შემდეგ მე თავი საქართველოს პოლიტიკიდან შორს დავიჭირე და არცერთი პარტიისთვის მხარი აღარ დამიჭერია.

დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული ჩემი შვილების ბებიისა და ბაბუის – ლევან ზურაბიშვილისა და ზეინაბ კედიას მიმართ.

მათ, ვისაც ეჭვი შეაქვს ჩვენი ოჯახების წარმომავლობასა და ურთიერთობებში, უნდა ენახათ თეიმურაზის ქორწილი გერგეთის სამებაში გასულ აგვისტოს, რომელიც ერთად ვიზეიმეთ. ეს ჩვენი ოცნების ასრულება იყო: მას შემდეგ, რაც 105 წლის წინ ძუკუ გუგუშვილმა საქართველო დატოვა, ჩვენი ვაჟი თავისი წინაპრების მიწას დაუბრუნდა და აქ დაქორწინდა. ჩემი ცხოვრების ერთ–ერთი ყველაზე საპატიო მისია სწორედ ამ ტრადიციული სუფრის გაძღოლა იყო თამადის როლში.

მე და სალომე ვამაყობთ, რომ ჩვენი შვილები ნამდვილი პატრიოტები არიან და მამაცურად უმკლავდებიან დაშინებასა და თავდასხმებს. გუგუშვილებისა და ზურაბიშვილების ოჯახები არიან მტკიცენი და საქართველოს ერთგულნი. მივესალმები ჩემსა ვაჟსა და ქალიშვილს, რომლებშიც ჩემი სისხლი ჩქეფს და რომლებიც ჩვენი ოჯახის კელაპტარს მომავალ თაობებს გადასცემენ. ვამაყობ, რომ დედას გვერდზე უდგანან და ეხმარებიან საქართველოს ლიბერალური დემოკრატიისა და თავისუფლების გზით სვლაში.

მე ჩემს პრინციპებს ყოველთვის ვიცავდი. ამ არჩევნებში ჩემი პრინციპული არჩევანი იმ საზოგადოებას ეკუთვნის,რომელიც დასავლეთისკენ იყურება და არა ჩრდილოეთისკენ!

გაუმარჯოს საქართველოს!

„გაუპატიურებელი ოფოფი“ სიგიჟის ზღვარზე

ნიკა გვარამიამ შეიძლება პირდაპირ ღია ეთერში გარეკოს

ნიკა გვარამიას ბოლოდროინდელ სატელევიზიო გამოსვლებს რომ უსმენ, შეიძლება შიშმა შეგიპყროს — არ არის გამორიცხული, ეს ადამიანი პირდაპირ ღია ეთერში გაგიჟდეს და „რუსთავი-2“-ის სტუდიიდან ფსიქიატრიულ კლინიკაში ამოყოს თავი.

ეს კაცი რომ გაგიჟების ზღვარზეა, ამას, როგორც ჩანს, კარგად გრძნობს მისი თანაწამყვანი ეკა კვესიტაძე, რომელიც ხან დაყვავებით, ხან ცოტათი მკაცრი შეძახილით ცდილობს, დააშოშმინოს დაუკრეფავში გადასული გენდირექტორი, მაგრამ ამაოდ — გვარამია ვერ მშვიდდება, ვერ წყნარდება და თავისას მიერეკება.

დაბნეული, დამფრთხალი ჩანს კვესიტაძე — პატარა ამბავი რომ არ არის, ათიათასობით მაყურებლის თვალწინ ღია ეთერში გენდირექტორი დასაბმელი რომ გაუხდეს?

ბოლო ერთი წელია, გარეგნულადაც და ფსიქიკურადაც უცნაურ მეტამორფოზას, უფრო ზუსტად, უცნაურ დეფორმაციას განიცდის გვარამია და სულ უფრო და უფრო ემსგავსება ანჩხლ, რაღაცით გაბოროტებულ და გაკაპასებულ დედაკაცს, რომელიც მზად არის, მოწინააღმდეგეს ლოყები ჩამოატყავოს, თვალები ამოკორტნოს, თმებით ითრიოს.

ეტყობა, შემთხვევით არ მომხდარა, ვაჟკაცმა გვარამიამ ერთ-ერთ აქციაზე უამრავი მამაკაციდან მაინცდამაინც ქალბატონი რომ ამოიღო მიზანში და „ფუთიანი“ მუშტი რომ „ხეთქა“.

კაცების მეტი რა იყო იქ, მაგრამ გვარამიამ მაინცდამაინც ქალბატონი ამოირჩია თავისი რისხვის ობიექტად.

ბატონი ზიგმნუდი (ფროიდი), რომელიც კარგად ერკვეოდა ასეთ საქმეებში, ზუსტ ფსიქოანალიტიკურ დასკვნას გამოიტანდა გვარამიას საქციელიდან, ცოცხალი რომ ყოფილიყო.

მამაკაცი, მით უმეტეს, ქართველი მამაკაცი, მანდილოსანთან სერიოზულ პოლემიკაში შესვლას არ იკადრებს, იმიტომ, რომ მამაკაცია. არ იკადრებს მანდილოსნის საჯაროდ და სახალხოდ ლანძღვას, იმიტომ, რომ მამაკაცია, აი, ბატონი მამაკაცი გვარამია კი ისე თათხავს და ლანძღავს, ისეთ ქოქოლას აყრის ქალბატონ სალომეს, თითქოს მამაკაცი კი არა, თავადაც ქალბატონი იყოს.

ეხ, მართლაც რა დროს არ არის ცოცხალი ის ცხონებული ფროიდი...

— სამშობლოს მოღალატეა ეს ქალი, სამშობლოს მოღალატეს კი ვერ დავინდობ, პატრიოტი ვარო, — წიკვინებს გვარამია და ზურაბიშვილის პირად ცხოვრებაზე ისეთ იაფფასიან ჭორს ჰყვება, რომლის მოყოლას ბაზრის ყველაზე ჭორიკანა დედაკაციც არ იკადრებდა.

— ბატონო ნიკა, პირად ცხოვრებაზე ნუ ვილაპარაკებთ, არ არის ეს სწორიო, — ეკა კვესიტაძე ცდილობს შეაჩეროს ფსიქიკური აშლილობის ზღვარზე მყოფი შეფი, მაგრამ არაფერი გამოსდის.

კვესიტაძე რაღაცით ჰგავს ექთანს თუ სანიტარს, რომელსაც მძიმე ავადმყოფი ჩააბარეს მოსავლელად და მკაცრად გააფრთხილეს: — გააკონტროლე, როგორც კი დაუკრეფავში გადავა, სადავეები მოქაჩე და დააოკეო.

გვარამია ვერ ოკდება — მე რომ პირადი ცხოვრება დამინგრიეს, მე რომ ფსიქიკა შემირყიეს და ჩემი განადგურება სცადეს, ახლა მიიღონ სამაგიერო კბილებშიო.

გვარამია არ აკონკრეტებს, ვინ დაუნგრია პირადი ცხოვრება, ვინ შეურყია ფსიქიკა და ვინ შეცვალა ასე, კაცს კი არა გაუპატიურებულ ოფოფს რომ ჰგავს.

პატივცემული ნიკას მინიშნებებს თუ ჩავუღრმავდებით, როგორც ჩანს, ის თავისი გაუბედურების მთავარ მიზეზად „ქართულ ოცნებას“ მიიჩნევს, არადა, სულ ტყუილად.

ნიკა გვარამიას გაუბედურება-გაპარტახების დრამატული ისტორია მაშინ დაიწყო, როცა ის თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე მიხეილ სააკაშვილს გადაეყარა.

სააკაშვილს, რომელიც თავისი გამზრდელის, შევარდნაძის წინააღმდეგ დაგეგმილი დიდი ღალატისთვის ემზადებოდა. საწყის ეტაპზე, „ნაცმოძრაობის“ სახით, სულების შემსყიდველი პუნქტი ჰქონდა გახსნილი, სადაც მომავალი პოლიტიკური ბრძოლებისთვის საჭირო კადრებს იზიდავდა და „ავერბოვკებდა“.

ასე მოხვდა ნიკა გვარამია სააკაშვილის „სასტავში“ და ასე ჩააბარა სააკაშვილის სულების შემსყიდველ პუნქტს სული.

ასე რომ, ნიკა, ბიძიკო, სულ ტყუილად იშვერ შენ ხელს ბიძინა ივანიშვილისკენ და „ქართული ოცნებისკენ“ — სააკაშვილმა დაგღუპა შენ, სააკაშვილმა ამოგაცალა სული და ყველაფრის მკადრებელ, ყველაფერზე წამსვლელ, სინდის-ნამუსისგან გარეცხილ, უტიფარ და ურცხვ რობოტად გაქცია.

თუმცა შენი გოლგოთა ჯერ არ დამთავრებულა, ნიკა გვარამიავ, მთავარი განსაცდელი წინ გელოდება და რამდენიც არ უნდა იხვანცალო, შენ ამ განსაცდელისგან თავს ვერ დაიხსნი.

ციხე ან საგიჟეთი — აი, ეს არის შენი ბოლო ნავსაყუდელი.

გიორგი გამეზარდაშვილი

მურად მთვარელიძე:
აი, რა არ მინდა დაბრუნდეს!

„ნაციონალები“ მაიძულებდნენ, პედაგოგები პოლიტიკური ნიშნით დამეთხოვა სკოლიდან

ორიოდე დღის წინ მწერალმა მურად მთვარელიძემ სოციალურ ქსელში ხაშურელი პედაგოგების სია და შემდეგი შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნა:

„აი, რა არ მინდა დაბრუნდეს!

არ ვაპირებდი ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას, მაგრამ დღევანდელი სიტუაცია ისეთია, აუცილებელია ობიექტურობა. „ქართულმა ოცნებამ" რომ ჩვენი იმედები ვერ გაამართლა, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ წარსულში დაბრუნება საზოგადოებისათვის უკვე განაჩენის ტოლფასი იქნება.

ასეთი სიები ყველა უწყებაში დგებოდა წინა ხელისუფლების დროს და მსგავსი არაფერი ხდება დღეს. ეს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში შედგენილი სიაა. ბოდიშს ვუხდი ამ სიაში შეტანილ ადამიანებს. ბევრი მათგანი პირველად გაიგებს, რას უმზადებდა წინა ხელისუფლება მათ, როგორც ოპოზიციურად განწყობილ ნაწილს საზოგადოებისა. შედეგად ამ სიებს ჩვენს სისტემაში რაც მოჰყვა, ესეც კარგად არის ცნობილი. გაბრაზებული ვარ ოცნებაზე, მაგრამ წარსულში არასოდეს დავბრუნდები!“ – წერს მურად მთვარელიძე.

როგორ იწერებოდა სააკაშვილის ხელისუფლების დროს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებში ოპოზიციურად განწყობილი პედაგოგების სიები და რა ელოდათ სიაში მოხვედრილ ადამიანებს, ამაზე სასაუბროდ მწერალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მურად მთვარელიძეს დავუკავშირდით.

– სანამ სიების შესახებ გიამბობდეთ, მოგიყვებით როგორ მოხვდა ამ სიებში ჩემი გვარი. მთელი ცხოვრება განათლების სისტემაში ვმუშაობ. 1978 წელს დავიწყე სოფლის სკოლის მასწავლებლობიდან და გავხდი რკინიგზის მე-3 სკოლის დირექტორი, განათლების განყოფილების გამგე, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის რეგიონალური ფილიალის კათედრის გამგე და ა.შ.

2003 წელს. ნაციონალები რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ, სისტემაში რეორგანიზაციები დაიწყო და ლომაიამ რესურს-ცენტრის დირექტორების შესარჩევი კონკურსი ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ტესტირებაც და გასაუბრებაც წარმატებით გავიარე, ლომაიამ რესურს ცენტრის ხელმძღვანელად არ დამნიშნა და კონკურსი ჩაშლილად გამოაცხადა. სწორედ ეს იყო რეპრესიის პირველი ტალღა, თუმცა მაშინ ვერ მივხვდი რაში იყო საქმე. აგვისტოში ისევ გამოცხადდა კონკურსი, ისევ გავედი, ისევ ჩავაბარე, მაგრამ ჩემს ნაცვლად მინისტრის მოადგილის პროტეჟე დანიშნეს. 2007 წელს ჩავაბარე სკოლის დირექტორის გამოცდები და ლოტოტრონის წესით მოვხვდი ჩემს სახლთან ახლოს მდებარე №9 სკოლაში. მალე ეს სკოლა ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ვაქციე. ისეთი რამეები გვქონდა გაკეთებული, რომ ხალხი ექსკურსიებს აწყობდა და სანახავად მოდიოდა. მეამაყება, რომ ამ სკოლას დღემდე მთვარელიძის სკოლას ეძახიან.

– წარმატებული სკოლის დირექტორი როდის და რატომ გახდა ხელისუფლებისთვის მიუღებელი?

– პოლიტიკა არასოდეს მაინტერესებდა, მაგრამ ვიღაცისთვის ისიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ საკუთარ აზრს ყოველთვის თამამად გამოვხატავდი და მონურად არ ვასრულებდი იმ მითითებებს, რაც შეიძლება სხვა დირექტორს შეესრულებინა. აქედან დაიწყო მტრის ხატის შექმნა და დაგვირგვინდა იმით, რომ ახალი გამგებელი, რომლის სულელურ მოწოდებებს არ ვემორჩილებოდი, პირდაპირ ჩემთან ბრძოლაზე გადმოვიდა. ღიად დამემუქრნენ, გაგანადგურებთო და ამისთვის ყველა ღონეს ხმარობდნენ.

– იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას ითხოვდნენ თქვენგან და რომელი მითითებების შესრულებაზე თქვით უარი?

– პირდაპირ ითხოვდნენ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნას. თუ რომელიმე ჩემს თანამშრომელს მათთვის არასასურველ გარემოში ან განსხვავებული შეხედულებების ადამიანების სიახლოვეს შენიშნავდნენ, იწყებოდა საშინელი შემოტევა. ბევრი ასეთი შეტევის მოგერიება მოგვიხდა. 2011 წლის აგვისტოში სკოლაში განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახური შემოვიდა და დაიწყეს შემოწმება. რას ეძებდნენ არ ვიცი, მაგრამ შემოწმება ერთი თვე გაგრძელდა. აუდიტის სამსახურის თანამშრომელი სკოლიდან რომ მიდიოდა, გულწრფელად მითხრა, ჩვენ სხვა დავალებით ვიყავით შემოსული და საერთოდ სხვა განწყობით მივდივართო. ის ხალხი წავიდა, მაგრამ ჩემთან ბრძოლა ამით არ დამთავრებულა.

ვგრძნობდი, რომ დიდხანს აღარ გამაჩერებდნენ და სანამ სკოლას დავტოვებდი, ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე შესანიშნავი საღამო გავაკეთე. მალე სამინისტროდან მოვიდა სამეურვეო საბჭოსთვის რეკომენდაცია დირექტორის გათავისუფლების შესახებ.

– გასაჩივრება არ გიცდიათ?

– რა აზრი ჰქონდა? როგორც კი სამინისტროდან რეკომენდაცია მოვიდა, საბჭოს გადავეცი, დავკეტე ჩემი კაბინეტი და წამოვედი. ამას მოჰყვა დიდი ამბები. გაიფიცნენ მოსწავლეები, მასწავლებლები და მოსწავლეების მშობლები, მაგრამ ყველაფერი ამით დასრულდა. ჩემს შემდეგ სკოლის დირექტორად კანალიზატორი დამნიშნეს. მე კი საბერძნეთში მიმიწვიეს შემოქმედებითი მივლინებით. საქართველოში 2012 წლის გაზაფხულზე ჩამოვედი. ის პერიოდია, რომ ნაციონალები რომ მიდიან და ოცნება მოდის. საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორი შეიცვალა და ერთხელ, ჩემსავით გათავისუფლებულ სკოლის დირექტორთან ერთად რესურს-ცენტრში რაღაც საბუთის მოსაძებნად მივედით. საბუთების ძებნის დროს სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ სია, რომელსაც აწერია „ოპოზიციურად განწყობილი პედაგოგების სია ხაშურის რაიონში“. იქვე გავაკეთე ამ სიის ქსეროასლი და წამოვიღე. მოგვიანებით გავიგე, რომ სიის ორიგინალი რესურს-ცენტრიდან გაქრა.

– ხელისუფლების შეცვლის შემდეგ განათლების სამინისტროში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დროს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ადამიანების საქმეებს სწავლობდა. ამ კომისიას თუ მიმართეთ ან თქვენი სიები თუ გააცანით?

– ის კომისია საერთოდ სხვა თემაა. როგორც იცით, კომისიაში განათლების სისტემიდან გათავისუფლებული ათასამდე ადამიანის განცხადება შევიდა და აქედან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული სულ რამდენიმე ადამიანი აღმოაჩინეს. მეც სხვების მსგავსად, სამინისტროდან მშრალი პასუხი მივიღე – კომისიაზე ვერ დადასტურდა, რომ ჩემი გათავისუფლება ოპოზიციური განწყობის გამო მოხდა. ვხვდებოდი, რომ ასეთი შედეგი დადგებოდა, ამიტომ სიის სამინისტროში მიტანა არც მიფიქრია და დღემდე მაგიდის უჯრაში მიდევს. განათლების სისტემაში მეტ-ნაკლებად გათვიცნობიერებულმა ადამიანმა იცის, რას ნიშნავდა ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ასეთ სიაში მოხვედრა. ამ მიზეზით გაათავისუფლეს ოსიაურის საჯარო სკოლის დირექტორი ნინო ბუხრიკიძე, ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი ნანი (ანა) ლაბაძე და მრავალი სხვა. იმ ხელისუფლებისთვის ეროვნული მუხტის მატარებელი ადამიანი მიუღებელი იყო და ყველა ხერხით ებრძოდა, ამიტომ სწორედ ახლა, როცა ამ პოლიტიკური ძალის მობრუნების რეალური საფრთხე დგას, მომინდა პედაგოგებისთვის შემეხსენებინა როგორი რეპრესიები გავიარეთ და რომ არ შეიძლება იმ მდგომარეობაში დაბრუნება.

პირადად მე, ადამიანი, რომელიც მოწოდებული ვიყავი იმისთვის, რომ მთელი ცხოვრება განათლების სფეროსთვის მიმეძღვნა, დღეს სრულიად სხვა პოლუსზე ვარ გადასული. დავუბრუნდი ჩემს მწერლობას და მეცნიერებას. ვმუშაობ უნივერსიტეტში, მყავს სტუდენტები და ფიანდაზები რომ დამიფინონ, სკოლაში შემსვლელი აღარ ვარ, მაგრამ ჩემი და ჩემნაირების სახით სკოლამ უამრავი თავის საქმეზე შეყვარებული ადაამიანი დაკარგა.

ნელი თორდია
571 35 36 88

ხალხის ხმა!

პოლიტიკაში და დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩახედული ადამიანები დამეთანხმებიან, სალომე ზურაბიშვილის დიპლომატიური გამოცდილება საფუძველია იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჩვენს ქვეყანას ნებისმიერ საერთაშორისო შეხვედრაზე ღირსეულად წარმოაჩენს!

სალომე ზურაბიშვილის პატრიოტიზმი იმის გარანტიაა, რომ ის დაიცავს ქართველი ხალხის ტრადიციებსა და იდენტობას ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ სიტუაციაში!

სალომე ზურაბიშვილი მხარს დაუჭერს საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერ კეთილგონივრულ ინიციატივასა და გადაწყვეტილებას, რაც ძალიან წაადგება ქვეყნის განვითარებას!

უფალი შეგვეწიოს!!!

ვლადიმერ ჭანტურიძე

რატომ გაუღო „ნაცმოძრაობამ“ მისთვის ვითომდა საძულველ რუსეთს და მის ეკონომიკას ასე ფართოდ კარები?

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N42)

საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ და ქალაქ თბილისის მერიამ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ შპს „მალთიფლექს ენერჯი ლიმიტედს“ მიჰყიდა „თბილისის წყალი“, „რუსთავწყალკანალი“, „მცხეთაწყალკანალი“, „საქწყალკანალი“. ხელშეკრულების თანახმად, წილის ნასყიდობის საფასური იყო ჯამში 80011208 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. თანხის გადარიცხვა ორ ტრანშად განხორციელდა. კომპანიაში მალევე შეიცვალა მენეჯმენტი და გენერალურ დირექტორად რუსეთის მოქალაქე იური ლესი დაინიშნა. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სახელწოდებით კომპანია 2009 წლიდან ოპერირებს. კომპანიის მესაკუთრე „მალთიფლექს ენერჯი ლიმიტედსაც“ სახელწოდება იმავე წელს შეეცვალა და „ჯორჯიან გლობალ უთილითის“ გახდა.შპს „რუსთავწყალკანალი“, შპს „მცხეთაწყალკანალი“, შპს „საქწყალკანალი“ და შპს „თბილისის წყლი“ შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზს“ (ყოფილი შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“) საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისს გამოცემული № 325 განკარგულებით გადაეცა. არასამთავრობო ორგანიზაციამ „მწვანე ალტერნატივა“ ამ კომპანიებთან მთავრობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ვერ მოიპოვა ვერც სასამართლოს გზით. ხელშეკრულების სრული ტექსტი, ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლითვე მიჩნეული იყო მყიდველის კომერციულ საიდუმლოდ. „ლუკოილ ჯორჯია“ 100%-იანი წილის მფლობელია ნიდერლანდებში, „ლუკოილ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 2005 წლის 26 ოქტომბრის მდგომარეობით გახლდნენ, რუსეთის მოქალაქეები სერგეი ფედორცოვი და ვალერი გოლოვუშკინი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კი ასევე რუსეთის მოქალაქე ფიკრეტ ალდაჯან ოგლია. 2005 წლის შემდეგ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში აღნიშნული მონაცემები არ შეცვლილა. პეტროკას ენერჯი ლიმიტედი“ საქართველოში ფლობს ფოთის ნავთობტერმინალებს, ბენზინგასამართი სადგურების ქსელს, თუმცა, აღნიშნული მფლობელობა საქართველოს საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. გარიგებები ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების საშუალებით ხორციელდებოდა. კომპანიის წარმომადგენლების საჯარო განცხადებების მიხედვით, „პეტროკას ენერჯი ლიმიტედის“ ძირითადი მეწილე რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ბიზნესმენი დავით იაკობაშვილია, 2014 წლის 29 დეკემბერს რუსულმა კომპანია „როსნეფტმა“ განაცხადა, რომ მან „პეტროკას ენერჯი ლიმიტედის“ 49%-იანი წილი შეიძინა, თუმცა, აღნიშნული გარიგების შესახებ ინფორმაცია რეგისტრირებული არ არის საქართველოს საჯარო რეესტრში. სავარაუდოდ, აღნიშნული გარიგება ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა. „როსნეფტის“ ინფორმაციით, გარიგების შედეგად კომპანიამ გაიმყარა ლიდერის პოზიციები კავკასიის რეგიონში არსებულ ნავთობბაზარზე. გარდა ამისა, „როსნეფტისვე“ განცხადებით,“ პეტროკასთან“ თანამშრომლობით მოხდება კავკასიისა და ცენტრალური აზიის მზარდი ბაზრების უკეთ ათვისება და ნავთობით მომარაგების დივერსიფიცირება.

2003 წელს ხელისუფლების „ვარდების რევოლუციით“ შეცვლიდან დაახლოებით სამ კვირაში, ბოლნისში ძვირფასი მადნის მომპოვებელ ყველა კომპანიაში, მათ შორის „კვარციტში“, „მადნეულსა“ და მათთან დაკავშირებულ სხვა კომპანიებში პროკურატურა შევიდა. 2003 წლის 15 დეკემბერს აღნიშნული კომპანიებიდან საფინანსო დოკუმენტაცია მოსამართლის ბრძანებით ამოიღეს, რადგან დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ყალბი ანგარიშფაქტურების დამზადების ფაქტზე. ამის შემდეგ მალევე, „კვარციტში“ ავსტრალიური კომპანიის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა იმდროინდელი მმართველი გუნდისა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, მიხეილ მაჭავარიანის ძმა ივანე მაჭავარიანი. 2004 წლის ნოემბერში „კვარციტისა“ და „მადნეულის“ გენერალურ დირექტორად, ასევე, ორივე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი კობა ნაყოფია, რომელიც მოგვიანებით, 2008–2012 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა, ის იყო მმართველი გუნდის, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. კობა ნაყოფია ჟურნალ „ლიბერალთან“ საუბარში იხსენებს, რომ 2004 წელს ის რუსეთში, რუსი მილიარდერის, სერგეი გენერალოვის კომპანია „პრომიშლენიე ინვესტორში“ მუშაობდა, როცა მას საქართველოს ეკონომიკის სამინისტროდან, იმდროინდელი მინიტრის, კახა ბენდუქიძის სახელით დაურეკეს და საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზეს. როგორც ნაყოფია იხსენებს, ბენდუქიძემ მას ასარჩევად „ჭიათურმანგანუმის“, ან „მადნეულის“ დირექტორობა შესთავაზა. საქართველოს ხელისუფლებამ კობა ნაყოფიას ძვირფასი ლითონების მომპოვებელი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებისთვის მომზადება დაავალა, 2005 წელს კი გასაყიდად გამოიტანა. კომპანიებისადმი დაინტერესება დიდი იყო, თუმცა, საბოლოოდ, „მადნეული“ და „კვარციტი“ კობა ნაყოფიას ყოფილი პარტნიორის, სერგეი გენერალოვის ჰოლდინგის, „პრომიშლენიე ინვესტორის“ შვილობილმა კომპანიამ „გეოპრომაინინგმა“ (Stanton Equities Corporation) შეიძინა დაახლოებით 33 მილიონ აშშ დოლარად. ოფიციალურად, „გეოპრომაინინგი“ ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული, თუმცა, „კვარციტისა“ და „მადნეულის“ რეალური მფლობელი რომ „პრომიშლენიე ინვესტორი“ იყო, ამას კომპანიის ვებგვერდზე დღემდე განთავსებული ინფორმაციაც ადასტურებს. რაც შეეხება „პრომიშლენიე ინვესტორის“ მფლობელს, რუს მილიარდერ სერგეი გენერალოვს ის რუსეთის პოლიტიკისა და ბიზნესის ერთ-ერთი გავლენიანი პერსონაა. (სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიას მეგობარი) ბიზნესთან ერთად, გენერალოვს რუსულ პოლიტიკაში მოღვაწეობის გამოცდილებაც აქვს. „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ ოფიციალური მესაკუთრე არის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი“. მისი დირექტორი კი რუსეთის მოქალაქე ვლადიმირ აშუროვია. აშუროვი ხელმძღვანელობს IDS Borjomi International-საც. კავშირგაბმულობის კომპანია „მობიტელი“ საქართველოში 2007 წელს „ბილაინის“ ბრენდით შემოვიდა. კომპანია რუსული „ვიმპელკომის“ ჯგუფის წევრია. ელმავალმშენებლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში რუსეთის მოქალაქეები 2005 წლიდან ჩნდებიან, როდესაც რუსულმა Dema Compiuters-მა აქციათა 51% შეიძინა. 36% ზურაბ ცინცაძეს, 12,76% კი საწარმოთა მართვის სააგენტოს დარჩა. სამეწარმეო რეესტრში დაცული დაკომუნეტებიდან არ ჩანს, რა თანხად იყიდა საკონტროლო პაკეტი Dema Computers-მა. „გაერთიანებული ქართული ბანკის“ აქციები რუსულმა „ვითიბიმ“ 2005 წელს შეიძინა. კომპანიის რებრენდინგი 2006 წლის დეკემბერში განხორციელდა, შეიცვალა სახელწოდება და „ვით იბი ბანკი“ ეწოდა. „ვიმ ბილ დან საქართველო“ რძის პროდუქტების მწარმოებელი რუსული სს „ვიმ-ბილ-დანის“ მფლობელობაში მყოფი კომპანიაა. საქართველოში 2008 წელს დარეგისტრირდა. კომპანიის დამფუძნებელი რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ბიზნესმენი დავით იაკობაშვილია. ქართულ ბაზარზე მისი პროდუქცია ცნობილია სახელწოდებით „სოფლის ნობათი“. 2011 წელს ვიმ ბილ დანის აქციათა 66% პეპსიკომ 3.8 მილიარდ დოლარად იყიდა 56. მანამდე ის 11%-ს ფლობდა. ამ გარიგებთ „პეპსიკო“ ჯამში კომპანიის აქციების 77%-ს მფლობელი გახდა.

დოკუმენტებით ირკვევა, რომ „ტიფლისკი ვინნი პოგრების“ 100 პროცენტიანი წილი „დიონისემ“ „დკ სერვისს“ 2014წლის ოქტომბერში 2 ათას ლარად მიჰყიდა. „დკ-სერვისის“ მფლობელი რუსეთის მოქალაქე ელენა შჩელკანოვაა, გენერალური დირექტორი კი – იმავე ქვეყნის მოქალაქე ნაძეჟდა სტროკატოვა. ვიდრე „დიონისე“ „დკ სერვისს“ მიყიდიდა, „ტიფლისკი ვინი პოგრების“ დირექტორი რუსეთის მოქალაქე გერმან ლისოვი იყო.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ბიზნესებისა, რომლებიც „ნაცმოძრაობამ“ მისთვის საძულველ რუსეთს გადასცა ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაში.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

რუსი მზეთუნახავი, რომელმაც ქართველი თავადის გამო სამეფო ტახტზე უარი თქვა

სანამ მის ცხოვრებაში ქართველი თავადიშვილი გამოჩნდებოდა და ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა, ცხოვრება რუსეთის იმპერატორის სასახლის კარზე მშვიდად მიედინებოდა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ კონსტანტინე რომანოვის ულამაზესი ქალიშვილი სიყვარულის გამო სამეფო ტახტზე უარს იტყოდა და ცხოვრებას ქართველ თავადიშვილს დაუკავშირებდა.

1979 წელს, როცა იერუსალიმის ამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დედა თამარი გარდაიცვალა, თითქმის აღარავის ახსოვდა, რომ საერო ცხოვრებაში ის რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველის შვილთაშვილი და ქართველი თავადის კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე იყო.

ტატიანა რომანოვა 1890 წელს სუსხიან რუსულ ზამთარში დაიბადა. მამა კონსტანტინე რომანოვი რუსეთის სამეფო დინასტიის წარმომადგენელი გახლდათ, ხოლო დედა ელიზავეტა მავრიკიევნა – გერმანელი პრინცესა. ცოლ-ქმარს ერთმანეთი გულწრფელად უყვარდა, რაც დინასტიური ქორწინებებისას იშვიათობას წარმოადგენდა. კონსტანტინე რომანოვი უაღრესად რელიგიური ადამიანი იყო. ახალგაზრდობაში ის ბერად აღკვეცასაც კი აპირებდა, თუმცა ამის ნება ბიძაშვილმა, იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ არ მისცა: „ყველა რომ მონასტერში წავიდეთ, რუსეთს ვინ ემსახურება?“ – უთხრა მაშინ იმპერატორმა.

კონსტანტინე და ელიზავეტა რომანოვებმა ერთად 30 წელი იცხოვრეს და რვა შვილი გაზარდეს.

კონსტანტინე რომანოვს ძალიან უყვარდა ბუნება და ქალაქგარეთ მდებარე სასახლეები. სწორედ მოსკოვის გარეუბანში, ოსტაშევოში მდებარე ერთ-ერთ სასახლეში, 1910 წლის ზამთარში გაიცნო 20 წლის ტატიანა რომანოვამ კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი – ქართველი თავადი, რომელმაც მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა.

ტატიანას სილამაზით მოხიბლულმა ქართველმა თავადმა ოსტაშევოს სასახლეში ვიზიტები გააზშირა. კავალერიის პოლკის კორნეტი მშვიდ და მეფური თვისებებით შემკულ ტატიანას ქართველთა უპირველეს მეფეს თამარს ადარებდა. მალე შესამჩნევი გახდა, რომ არც რომანოვების ასული გახლდათ ქართველი თავადის მიმართ გულგრილი.

ტატიანას უმცროსი ძმა ოლეგი შეყვარებულებს ეხმარებოდა და ერთმანეთის წერილებს გადასცემდა, სამაგიეროდ, ამ ამბავმა ტატიანას მშობლებს თავზარი დასცა. კონსტანტინე რომანოვი დინასტიის წესებს მკაცრად იცავდა, შესაბამისად, მისთვის თუნდაც წარჩინებულ, მაგრამ არასამეფო გვარის წარმომადგენელთან ქორწინება დაუშვებელი იყო. როდესაც ტატიანას შეგონებით ვერაფერი გააწყო, კონსტანტინე რომანოვმა ქართველ თავადთან დალაპარაკება გადაწყვიტა: **„ახალგაზრდავ, თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ რომანოვების გვარის წარმომადგენელს მხოლოდ თანაბარი წოდების გვარის წარმომადგენელზე შეუძლია დაქორწინება“. – მშვიდად უთხრა მან ბაგრატიონს. პასუხად კი მიიღო: „თქვენც უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ბაგრატიონების გვარი რომანოვებზე არაფრითაა ნაკლები“.**

ასეთი თავხედობა დაუსჯელი ვერ დარჩებოდა. კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი მეორე დღესვე სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში გამომგზავრეს. ტატიანა კი, ქართველი შეყვარებულის მალე დასავიწყებლად, ყირიმში, დეიდასთან – იმპერატორის ქვრივ მარია თევდორეს ასულთან გაამგზავრეს. „წლების შემდეგ მიხვდები, რომ სხვა ქორწინებისთვის ხარ შექმნილი“, – ამ სიტყვებით დაემშვიდობა რომანოვი საკუთარ ქალიშვილს, თუმცა ცდებოდა...

ყირიმში ყოფნის დროს ტატიანას გვერდიდან არ მოუცილებია დედის ნაჩუქარი წიგნი „თამარ მეფე, ანუ საქართველოს აყვავების ხანა“. გოგონა იმდენად განიცდიდა საყვარელ ადამიანთან დაშორებას, რომ დეიდამ იმპერატორს ახალგაზრდა კორნეტის კავკასიიდან ჩამოყვანა სთხოვა. ნიკოლოზ მეორეს არ შეეძლო დედის ნებას შეწინააღმდეგებოდა, ამიტომ ბაგრატიონ-მუხრანელს რუსეთში დაბრუნების ნება დართო.

მალე ქართველი თავადი ყირიმში, შეყვარებულთან ჩავიდა. ის ყოველ დილას ცხადდებოდა იმპერატორის სასახლეში და მთელ დღეს საყვარელი ქალის გვერდით ატარებდა, მაგრამ შეყვარებულების იდილია კონსტანტინე რომანოვის მოულოდნელმა გამოჩენამ დაარღვია. მონატრებული ქალიშვილის სანახავად ჩასული თავადის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სასახლის ეზოში, ჰამაკში მოქანავე ტატიანას ფეხებთან ქართველი თავადი იხილა. ყველა შეცბუნებული და დაბნეული დუმდა, როცა ტატიანა მამის წინ მუხლებზე დაეცა და ცრემლების ღვრით ქართველ თავადთან ქორწინების უფლება სთხოვა: „ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი და უერთმანეთოდ ბედნიერები ვერ ვიქნებით“.

მონატრებული ქალიშვილის ცრემლებმა რომანოვს გული მოულბო. სულის სიღრმეში ქართველი თავადის შეუპოვრობაც მოეწონა, მაგრამ ამ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ იმპერატორს შეეძლო.

ტატიანას ძმის, გავრილის მოგონებებიდან ირკვევა, რომ ქართველი თავადის გამო ნიკოლოზ მეორეს იმპერატორის ოჯახის წევრთა საქორწინო წესებში ცვლილების შეტანა მოუწია. სპეციალური განკარგულების მიხედვით, ტატიანას შეეძლო, ცოლად არასამეფო გვარის წარმომადგენელს გაჰყოლოდა, თუმცა ამის შემდეგ ის და მისი შთამომავლები ტახტზე მემკვიდრეობის უფლებას სამუდამოდ დაკარგავდნენ, თუმცა ამას ტატიანასთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ჯვრისწერა სამეფო სახლთან მდებარე ეკლესიაში 1911 წელს, წმინდა თამარ მეფის ხსენების დღეს შედგა.

ეკლესიაში გამგზავრების წინ ტატიანამ, როგორც ნიკოლოზ პირველის შვილთაშვილმა, წერილობით დაადასტურა, რომ მას და მის შთამომავლებს სამეფო ტახტზე პრეტენზია არასოდეს ექნებოდათ.

ქორწილი პავლოვსკში, კონსტანტინე რომანოვის სასახლეში გაიმართა. **ერთადერთი სტუმარი, რომელიც წვეულებაზე მოსულ იმპერატორს ფეხზე არ წამოუდგა, ქართველი სიძის ნათესავი ქალბატონი, გვარად ბაგრატიონ-მუხრანელი ბრძანდებოდა.** ვინაიდან იმპერატორის შემოსვლისას დაჯდომის უფლება მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენელს ჰქონდა, ამ ჟესტით ბაგრატიონმა რომანოვს აგრძნობინა, რომ მასზე ნაკლები სამეფო გვარის არ გახლდათ. ნიკოლოზ მეორემ არაფერი შეიმჩნია, ქართველ ქალბატონს რამდენიმე თავაზიანი სიტყვა უთხრა და გაეცალა.

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ, კონსტანტინესა და ტატიანას ვაჟი შეეძინათ, რომელსაც ქართული სახელი – თეიმურაზი დაარქვეს. 1914 წელს კი ქალიშვილი ნატალია გაჩნდა, მაგრამ წყვილის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, სადაც ტატიანას ხუთივე ძმა და ქმარი წავიდა. რამდენიმე თვის შემდეგ ფრონტიდან უმცროსი ძმის ოლეგის გარდაცვალების ცნობა მოვიდა. ერთი წლის შემდეგ კი ტატიანამ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ხელმძღვანელ გენერალ ბრუსილოვისგან მიიღო წერილი, რომელშიც ეწერა, რომ კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი 19 მაისს ლვოვთან გმირულად დაიღუპა.

ტატიანას ძმა გავრილ რომანოვი ამ დღეს ასე იხსენებდა: „როცა ტატიანასთან მივედი, ის დიდ დარბაზში იჯდა და ძალიან მშვიდი იყო. მადლობა ღმერთს, რომ ღრმად მორწმუნე ადამიანია და უმძიმესი დარტყმა ქრისტიანული სიმშვიდით გადაიტანა. მან შავის ნაცვლად, თეთრი კაბა ჩაიცვა, რაც მის უბედურებას უფრო ხაზს უსვამდა“. იმავე საღამოს, პავლოვსკის სასახლის ეკლესიაში პანაშვიდი გაიმართა, რომელზეც რუსეთის იმპერატორი მეუღლესთან და თანმხლებ პირებთან ერთად მობრძანდა.

ბაგრატიონ-მუხრანელებმა, ეკლესიასთან შეთანხმებით, კონსტანტინეს დაკრძალვა სვეტიცხოვლის ტაძარში გადაწყვიტეს. საქართველოში გამგზავრების წინ ტატიანამ მშობლები მოინახულა. მამა-შვილი დიდხანს უყურებდა ერთმანეთს მდუმარედ. ორივე გრძნობდა, რომ ხანგრძლივი განშორება ელოდათ, თუმცა ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის დაკრძალვის დღეს ქართული გაზეთები წერდნენ, რომ მისმა ქვრივმა თბილისსა და მცხეთაში გასაყიდად გამოტანილი უკლებლივ ყველა ყვავილი იყიდა და სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორია თაიგულებით გაავსო. მეუღლის დაკრძალვიდან ორი დღის შემდეგ ტატიანამ მამის გარდაცვალების მაუწყებელი დეპეშა მიიღო. 56 წლის კონსტანტინე რომანოვს ომში გარდაცვლილი შვილის, სიძისა და დანარჩენ შვილებზე დარდმა ბოლო მოუღო, თუმცა მას სხვებზე მეტად გაუმართლა – ისე წავიდა, რომ არ გაუგია, რა ბედი ეწია რომანოვების დინასტიას რევოლუციის შემდეგ... ბოლშევიკებმა მთელი სამეფო ოჯახი ამოწყვიტეს. დახვრიტეს ტატიანას ბიძა დიმიტრი რომანოვი, ალაპაევსკის მაღაროში ცოცხლად ჩაყარეს ტატიანას ღვიძლი ძმები და დეიდა ელიზავეტა თევდორეს ასული. ერთმანეთზე მიყოლებულ უბედურებას ტატიანა რომანოვა საოცარი სიმშვიდით შეხვდა. რწმენა მას უბედურების გადატანაში დაეხმარა.

მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ტახტზე უფლებები აღარ ჰქონდა, ტატიანასა და მისი შვილების რუსეთში დარჩენა მაინც სახიფათო იყო. რომანოვების ასულმა, განსვენებული ბიძის ადიუტანტის ალექსანდრე კოროჩენცევის დახმარებით, რუსეთი კიევის გავლით დატოვა და რუმინეთში გადავიდა, სადაც ის ნათესავმა, დედოფალმა მარიამ შეიფარა, შემდეგ კი შვეიცარიაში გადავიდა. სამშობლოდან ბევრი არაფერი წაუღია, თუმცა დედის ნაჩუქარი წიგნი თამარ მეფეზე ყველგან თან დაჰქონდა. ტატიანა მშვენივრად ხედებოდა, რომ კოროჩენცევის დახმარების გარეშე შვილებიანად დაიღუპებოდა, ამიტომ როცა სამშვიდობოს გასულს კოროჩენცევმა ცოლობა სთხოვა, დასთანხმდა. ადიუტანტი არა მხოლოდ მზრუნველი მეუღლე, არამედ თეიმურაზ და ნატაშა ბაგრატიონ-მუხრანელებისთვის მოსიყვარულე მამაც აღმოჩნდა...

თუმცა, რომანოვების ასულს ქალური ბედნიერება არ ეწერა – ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ ადიუტანტი დიფტერიით დაავადდა და გარდაიცვალა. ახალგაზრდა ქალმა ეს დარტყმაც ვაჟკაცურად გადაიტანა. ამ დროისთვის მას ნათესავებისა და ახლობლების უმეტესობა უკვე დაკარგული ჰყავდა. მარტოდმარტო დარჩენილმა ტატიანამ საკუთარი თავი შვილების აღზრდას მიუძღვნა და ყველაფერი იღონა, რომ მათ ღირსეული განათლება მიეღოთ. შემდეგ კი გააკეთა ის, რაზეც მამამისი ოცნებობდა – 1946 წელს შვეიცარიაში მონაზვნად აღიკვეცა და საქართველოს უდიდესი მეფისა და წმინდანის პატივსაცემად, საეკლესიო სახელად თამარი აირჩია. შვეიცარიიდან დედა თამარი პალესტინაში გაემგზავრა და 5 წელი გაატარა ბიძის, ალექსანდრე მესამის მიერ აშენებულ მარიამ მაგდალინელის ტაძარში. სწორედ აქ განისვენებდა მისი ბიცოლა ელიზავეტა თევდორეს ასული. დედა თამარისთვის ეს ადგილი მხოლოდ სიწმინდეს კი არა, დაკარგული სამშობლოს ნაწილსაც წარმოადგენდა.

1951 წლიდან დედა თამარი იერუსალიმის წმინდა ამაღლების ქალთა მონასტრის წინამძღვარი გახდა. მონაზვნებს ძალიან უყვარდათ ბრძენი და კეთილი წინამძღვარი და სიყვარულით მას მეფური იღუმენია შეარქვეს.

ტატიანა რომანოვა 89 წლის ასაკში, ღვთისმშობლის მიძინების დღეს გარდაიცვალა და თან წაიღო ქართველი თავადის საარაკო სიყვარული, რომელმაც სამეფო ტახტი დაათმობინა.

biography.wikireading.ru

ქალი-პრეზიდენტები მსოფლიო ისტორიაში

ქალი-პრეზიდენტები, ვინ არიან ისინი? ვინ არიან სამყაროს მშვენიერი ნახევრის ის წარმომადგენლები, რომლებიც პრეზიდენტები გახდნენ და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თავიანთი ქვეყნების ისტორიაში.

ИСАБЕЛ МАРТИНЕЗ ДЕ ПЕРОНИ

ისაბელ მარტინეს დე პერონი, არგენტინა. არგენტინაში პრეზიდენტის პოსტი პირველად 43 წლის მარია პერონმა დაიკავა. მარტინესმა განათლება ხელოვნების ინსტიტუტში მიიღო, იყო საბალეტო დასის პრიმა და დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით კლუბში მოცეკვავედ მუშაობდა, სადაც შეხვდა თავის მომავალ ქმარს, 35 წლით უფროს გენერალს ხუან პერონს. მალევე, 1973 წელს, პერონმა საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ცოლი კი ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა.

როცა ერთი წლის შემდეგ ხუან პერონი მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით, ისაბელმა ავტომატურად გადაიბარა მეუღლის უფლება-მოვალეობანი და არა მარტო არგენტინის პირველი ქალი-პრეზიდენტი გახდა, არამედ პირველი პრეზიდენტი ქალი მსოფლიო ისტორიაში. ხალხმა მხარი დაუჭირა ისაბელ მარტინესს. 1976 წელს კი იგი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს პოლიტიკური მკვლელობების გამო. დღეისათვის ისაბელ მარტინესი ესპანეთში ცხოვრობს.

კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი, არგენტინა. არგენტინის მეორე პრეზიდენტი ქალი კრისტინა დე კირშნერი მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი პრეზიდენტი გახდა. იგი დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთ ლამაზ და სექსუალურ ქალ-პოლიტიკოსად ითვლება. დე კირშნერმა პრეზიდენტის პოსტი 2007 წელს დაიკავა მეუღლის შემდეგ და ოპონენტს ხმების 20%-ით აჯობა.

სწორედ მისი მმართველობის დროს არგენტინაში მიიღეს ბევრი მნიშვნელოვანი კანონი და გატარდა რეფორმები, როგორიცაა, კანონი მასმედიის შესახებ, საპენსიო ფონდების ნაციონალიზაცია, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მოწევის აკრძალვა... მიუხედავად სკანდალებისა, კრისტინა იყო და დღესაც რჩება წარმატებულ და გავლენიან პოლიტიკოსად და ბედნიერ დედად და ბებიად.

ტარია ხალონენი, ფინეთი. ტარია ხალონენი, ფინეთის ყველაზე ცნობილი პრეზიდენტი, პოსტს 2000–2012 წლებში იკავებდა. განათლებით იურისტია. დაიბადა ჰელსინკის ყველაზე ღარიბ უბანში. ტარია საზოგადოებრიობის სიყვარულით სარგებლობს და უყვარს სტერეოტიპების მსხვრევა.

ფინელები მას თანამედროვე და მრავალმხრივ განვითარებულ პოლიტიკოსად მიიჩნევენ. ხალონენი გატაცებულია ფერწერით, ცურვით და უყვარს ცხოველები. იგი დიდ პოლიტიკას ჩამოშორდა და დღეისათვის ევროპის ყველაზე დიდი სამუზეუმო კომპლექსის – ფინეთის ნაციონალური გალერეის თავმჯდომარეა.

დილმა რუსეფი, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა. დილმა ვანა რუსეფი ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტზე 2011 წელს აირჩიეს. იგი პრეზიდენტი ციხიდან გამოსვლის შემდეგ გახდა. სასჯელს დილმა რუსეფი შეიარაღებული იატაკქვეშა ორგანიზაციებში მონაწილეობის გამო იხდიდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დილმა რუსეფი ლეგალურ პოლიტიკაში ჩაება, რაც პრეზიდენტის პოსტზე მისი არჩევით დასრულდა. ბოლო წლებში რუსეფი დიდ კრიტიკას განიცდიდა ეკლესიისა და პოლიტიკოსების მხრიდან, რადგან აბორტების ლეგალიზებას უჭერდა მხარს. ამასთან, ეწინააღმდეგებოდა ერთსქესიანთა ქორწინებას, ნარკოტიკების ლეგალიზებას და სიკვდილით დასჯას. განქორწინებულია. ჰყავს ქალიშვილი და შვილიშვილი. სრულყოფილად ფლობს პორტუგალიურ, ფრანგულ, ესპანურ და ინგლისურ ენებს. 2009 წელს დაამარცხა ლიმფური კვანძების კიბო. 2016 წლიდან დილმა რუსეფს უფლებამოსილება შეუწყდა სახელმწიფოს საგადასახადო კანონის დარღვევის გამო.

პრატიბხა პატილი, ინდოეთი. ინდოეთის ისტორიაში პირველი ქალი-პრეზიდენტი 2007 წელს გახდა პრატიბხა პატილი. მან ბომბეის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, წარმატებული საადვოკატო კარიერა შექმნა და 11 წელი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. პატილმა პრეზიდენტის პოსტის დაკავებამდე გახსნა საზოგადოებრივი სასწავლო დაწესებულებები

სხვადასხვა ფენის ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. გარდა ამისა, თავადვე ხელმძღვანელობს მის მიერ შექმნილ შაქრის ფაბრიკას და აქტიურად იცავს ინდოელი ქალების უფლებებს.

ინდოეთის მთავრობაში ეკავა ბევრი თანამდებობა, მათ შორის ჯანდაცვისა და ტურიზმის მინისტრების. პრეზიდენტობის პერიოდში დიდ ყურადღებას უთმობდა ინდოელი ქალების უფლებების დაცვას. პატილი ბედნიერი ცოლი და დედაა. თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც იგი მშვიდობის, სიკეთის, ჰარმონიისა და სიყვარულის იდეებს ემხრობა.

მერი ტერეზა უინფრედ რობინსონი, ირლანდია. დამოუკიდებელი ირლანდიის პრეზიდენტი მშვენიერი სქესის წარმომადგენელი 1990 წელს გახდა. ეს პოსტი შვიდი წლის განმავლობაში ეკავა. ამ ნაზმა ქალმა თავისი ხალხის სიყვარული მოიპოვა იმით, რომ მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის იბრძოდა. მისი მმართველობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გათხოვილი ქალების პრობლემებს; მოითხოვდა აბორტებისა და განქორწინების დაკანონებას და უსახლკაროების კეთილდღეობაზე ზრუნვას.

დღეისათვის მერი რობინსონი გარემოს დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელია და აქტიურად მუშაობს მსოფლიოში ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაზე. ირლანდიის შემდეგი პრეზიდენტი კვლავ ქალბატონი გახდა – მერი პატრიშია მაკელისი, წარმატებული მეცნიერი და პოლიტიკოსი.

ელენ ჯონსონ-სერლიფი, ლიბერია. აფრიკის ქვეყნებში პირველი ქალი-პრეზიდენტი გახდა

მკაცრი და დამოუკიდებელი ელენ ჯონსონ-სერლიფი. მას რვაზე მეტი პოლიტიკური პოსტი ეკავა, მინიჭებული აქვს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია, ჰყავს 4 ვაჟი და 6 შვილიშვილი. მის ინაუგურაციას ესწრებოდნენ კონდოლიზა რაისი და ლორა ბუში.

ჯონსონ-სერლიფმა სახელი გაითქვა მსოფლიოში, როგორც აფრიკელი ქალების უფლებებისთვის, მათი უსაფრთხოების მებრძოლმა, მოითხოვდა ასევე, რომ აფრიკელი ქალებისთვის შესაძლებლობა მიეცათ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეკავებინათ.

მიშელ ბაჩელეტი, ჩილე. ორჯერ იყო არჩეული ჩილეს პრეზიდენტად. ის ქალური და დახვეწილი სტილის მიმდევარია არა მარტო გარეგნობაში, არამედ მმართველობაშიც. სამხედრო გადატრიალების შედეგად მისი ოჯახი ქვეყნიდან გააძევეს. ბავშვობა და ახალგაზრდობა ბაჩელეტმა სამშობლოს გარეთ გაატარა, დაბრუნების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ჩილეს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიშელი პირველი სამხრეთამერიკელი ქალია, რომელიც თავდაცვის მინისტრის პოსტს იკავებდა.

ბაჩელეტი ქალი პოლიტიკოსის სრულიად ახალი ტიპია – ენერგიული, დამოუკიდებელი. იგი განქორწინებულია და ჰყავს სამი შვილი სხვადასხვა მამაკაცისგან. მიშელ ბაჩელეტი მოუწოდებს ყველას, ღიად გამოხატონ თავიანთი რელიგიური თუ სექსუალური კუთვნილება.

ვაირა ვიკე-ფრეიბერგა, ლატვიის რესპუბლიკა. ვაირა ვიკე-ფრეიბერგა ოცზე მეტი საერთაშორისო პოლიტიკური ჯილდოსა და ათზე მეტი საპატიო წოდების მფლობელია. როგორც მკაცრმა და ქალურმა პრეზიდენტმა მმართველობის 8 წლის განმავლობაში თავი გამოავლინა, როგორც პროამერიკულმა პოლიტიკოსმა.

ეს მას ხელს არ უშლის იყოს საყვარელი მეუღლე, ორი შვილის დედა და 8 წიგნის ავტორი და თანაავტორი.

როგორც ისტორია ნათელყოფს, ქალის როლი პოლიტიკურ არენაზე კარდინალურად იცვლება. ვის არ უნდა საკუთარი ქვეყნის მმართველად იხილოს როგორც ძლიერი, გავლენიანი და ბრძენი პოლიტიკოსი, ასევე ნაზი და ლამაზი ქალი...

დალია გრიბაუსკაიტე, ლიტვა. ლიტვის პრეზიდენტს დალია გრიბაუსკაიტეს მასმედიის საშუალებები ხშირად „რკინის ლედის" ადარებენ. იგი პრეზიდენტის პოსტს 2009 წლიდან იკავებს. 2014 წელს მეორე ვადით აირჩიეს. გაუთხოვარია. მშობლიურის გარდა სრულყოფილად ფლობს კიდევ ოთხ ენას და კარატეში შავი ქამრის მფლობელია.

პრეზიდენტის პოსტის დაკავებამდე დალია 10 სერიოზულ პოსტს იკავებდა ლიტვასა და ევროკავშირში. კგბ-სთან მის კავშირზე მასმედიის საშუალებები დღესაც აქტიურად წერენ. დალია გრიბაუსკაიტე ევროკავშირის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და გავლენიან პოლიტიკოსად ითვლება.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„ილიას ფონდის" ნომინაციები

უკვე მეთექვსმეტე წელია, ილია ჭავჭავაძის საგურამოს მუზეუმში საქველმოქმედო ფონდ „ილიას ფონდის" მიერ გაიცემა პრემია „საგურამო" და ილიას მედალი — „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა" — ქართული კულტურის და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის.

ამ დრომდე პრემია „საგურამო" და ილიას მედლით დაჯილდოვდნენ უდიდესი ქართველი მოღვაწეები: ანა კალანდაძე, ილია II, გია ყანჩელი, რეზო გაბრიაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გეგეშიძე...

12 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს, საგურამოში სახელდებიან პრემიის გამარჯვებულები და მედლის მფლობელი, რომლებიც 8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, დაჯილდოვდებიან.

2018 წლის პრემია „საგურამოსა" და ილიას მედლის მფლობელები გახდნენ:

1. **პროზა — ზაურ კალანდია;**
2. **პოეზია — შოთა ზოიძე;**
3. **თარგმანი — რაულ ჩილაჩავა;**
4. **კრიტიკა — სოსო სიგუა, ნინო ვახანია;**
5. **ხელოვნება — ნოდარ მგალობლიშვილი;**
6. **ჰუმანიტარული მეცნიერება — თამაზ ჯოლოგუა;**
7. **საბავშვო მწერლობა — ედუარდ უგულავა.**

ილიას მედალი „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა" — ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისთვის მიენიჭა ვახტანგ დავითაიას.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983